ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 22 ივლისი 2004 №167 (2188) ფასი 50 თეთრი


# ნუ ექაჩებით ფეხბურთს სიღატაკისკენ

როგორც იქნა, ქართული ფეხბურთის მესვეურებმა პრინციპული გადაწყვეტილება მიიღეს — უფულო გუნდები, „ქობულეთი“ და „რუსთავი“ უმაღლესი ლიგიდან მოკვეთეს — არანაირი ფიცი-მტკიცი, არ გაქვთ ფული? მაშინ უმაღლესში ვერ ითამაშებთ — ასე გაისტუმრეს გუშინ პროფლიგის კონფერენციიდან „რუსთავი“ და „ქობულეთი“.

მოკვეთილ გუნდებს ანგარიშზე 300 000 ლარი კი არა, იმის საშუალებაც არ აღმოაჩნდათ, უმაღლეს ლიგაში სამონაწილეო თანხა — 38 000 ლარი გადაეხადათ.

ათგუნდა ეროვნული ჩემპიონატი კი 31 ივლისს დაიწყება და ოთხ წრედ ჩატარდება.

ხელფასი, პრემია, კვება, მგზავრობა, მინდორი, ეკიპირება... ამეებზე წუწუნი მეთექვსმეტე ეროვნულში აღარ უნდა იყოს, თორემ პროფლიგის პრინციპულობა ჩირად ეღირება — მაშ, ყბად ვილოთ გუშინდელი გადაწყვეტილება და იქნებ დამდეგი ჩემპიონატი უწინდელებზე უკეთესიც გამოდგეს.



## პროფლიგამ მარტივად გადაწყვიტა: ფეხბურთი მდიდარი და ჯანმრთელი სჯობს ღატაკსა და დავრდომილს

# 0:3

## ვეტერინარები გაცხარებულ ცხვრებს გადაურჩნენ

## მეტი აღარ გავუშვათ, ათნი ვართ და ვისლა გველოდება



ოთარ მარცვალაძემ თამაში ვერ ჩაამთავრა, 45-ე წუთზე გააძევეს



# JA



## იურგენ კლინსმანს ამერიკაში გერმანია შესთავაზეს

კლინსმა უკვე თანაშემწეებიც შეარჩია

მაშ, ვინ შეფერს რაღა?

**ჩემპიონთა ლიგა 2004-2005**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი**

# ვიტ ჯორჯიას ცხვარმა უკბინა



*„ვიტ ჯორჯიამ" ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე გასვლა პრაქტიკულად თბილისშივე გაინაღდა — ვეტერინარებმა „ტორსჰავნი" 5:0 მოანგრიეს. თუმცა, რაც საპასუხო მატჩში მოხდა, ფარერული კლუბის ისტორიაში უთუოდ შევა: „ტორსჰავნმა" ჩემპიონთა ლიგაზე პირველად მოიგო და თანაც დიდი ანგარიშით. ფარერელებმა საქართველოს ჩემპიონი 3:0-ით გამოისტუმრეს შინ.*

*მოსალოდნელი იყო და, მასპინძლებს სტუმრებისთვის კოჭებში მირტყმაც არ დაუკლიათ. სამწუხაროდ, პროვოკაციაზე წამოეგო „ვიტ ჯორჯიას" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ოთარ მარცვალაძე — ის 45-ე წუთზე გააძევეს.*

*„ვიტ ჯორჯიამ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მამარდაშვილი, პ. დათუნაიშვილი, კობიაშვილი, იმედაშვილი, ინწკირველი, მარცვალაძე, ნოზაძე, დიღმელაშვილი, გველესიანი, ებანოიძე (სახოკია 69), გოჩაშვილი (მალიჩავა 82).*

*ნამატჩევს „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელს, მერაბ კოჭლაშვილს შევეხმიანეთ...*

— პროვოკაციებში ასე გაწაფული გუნდი ჯერ არ მინახავს. თბილისში რა იკადრეს და, ხომ წარმოგიდგენიათ, შინ რას იზამდნენ. ბიჭები კი გავაფრთხილე, მეტოქეს არ აჰყოლოდნენ, მაგრამ... მარცვალაძე სულ ტყუილად გააგდეს. ფარერელმა ისე გააფორმა წაქცევა, თითქოს მარცვალაძეს ნოკაუტში ჩაეგდოს. არადა, ოთარი საერთოდ არ შეხებია მას.

— ვიტელები ტრავმებს გადაურჩნენ?

— დიღმელაშვილზე, გოჩაშვილზე, ნოზაძეზე და მარცვალაძეზე მთელი მატჩის განმავლობაში ნადირობა იყო გაჩაღებული, გამეტებით ურტყამდნენ კოჭებში. ერთი ეპიზოდი იყო, დაახლოებით ოცწუთიან მონაკვეთში დიღმელაშვილზე ორმა ფეხბურთელმა ყვითელი ბარათი მიიღო. დათოს დიაგნოზს თბილისში დაუსვამენ. ბოლოს წაგებაზეც ყაბულს ვიყავით, ოღონდაც ტრავმები აგვეცილებინა თავიდან. პირველი ტაიმი 0:0 რომ დასრულდა, მეორეში გაცოფებულები გვეტაკნენ, თან ჩვენ კაცნაკლული ვიყავით და კურიოზული გოლიც გავუშვით.

**—„ვისლამ" ხომ არ დაგზვერათ?**

— მატჩს პოლონელთა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ და ყველაფერი საკუთარი თვალით ნახეს.

**დავით ერაძე**

# დარჩებიან, არ დარჩებიან...

## ორი ქართველი დანიურ სახლში

**საქართველოს** ნაკრების დანიაში სტუმრობამდე სკანდინავიელები ქართველ ფეხბურთელებს ეცნობიან.

თბილისის „დინამოდან" გაშვებული მიხეილ ბობოხიძე და „ლოკომოტივიდან" წასული არჩილ სახვაძე დანიაში არიან. ისინი ამ ქვეყნის უმაღლესი ლიგის კლუბ „ჰერფოლგე ბოლდკლუბში" ისინჯებიან. გუშინ „ჰერფოლგე" დანიის პირველი ლიგის ბინადარ B-93-ს ეთამაშა, მატჩი 1:1 დასრულდა და გოლი ბობოხიძემ გაიტანა. მან სიჩქარეში დაჯაბნა მეტოქე, მის შესახვედრად გამოსული მეკარე ცრუმოძრაობით ჩამოიცილა და ანგარიშიც გახსნა. სახვაძემაც და ბობოხიძემაც სრულად ითამაშეს. დღეს „ჰერფოლგე" უმაღლესლიგელ „რანდერს" დაუპირისპირდება.

ქართველი ფეხბურთელები დანიაში სავიზო ვადის ამოწურვამდე დარჩებიან და საქართველოში დაბრუნებულები პასუხს დაელოდებიან.

**დავით ერაძე**

# დინამო 1:3 ტრავმები

**ბატესთან** 29 ივლისის საპასუხო მატჩის წინ თბილისის „დინამოს" სამი ფეხბურთელი დაუშავდა და ალბათ დღეის სწორს ვერც ერთი ითამაშებს.

ლევან სილაგაძემ, რომელიც ბორისოვში სათადარიგო იყო, გუშინდელ ვარჯიშზე მენისკი დაიზიანა და ექიმების თქმით, საოპერაციოა.

გუშინვე ბრაზილიელმა რომერომ ტერფი იტკინა და ისიც სამკურნალოა. ზუსტი დიაგნოზი ჯერ უცნობია, თუმც შესაძლოა ბატემდე მომჯობინდეს.

ლადო ახალაიას კი გუშინწინ კოჭი ამოუბრუნდა და 25 ივლისამდე ვერ ივარჯიშებს. თუმც ლადომ რომც ივარჯიშოს, საეჭვოა, ბატესთან ითამაშოს. ის „დინამოს" დატოვებას ეშურება და შესაძლოა, თბილისიდან ამ კვირაშივე აიბარგოს. ახალაიას დონეცკის „შახტარი" ეპატიჟება, სადაც მწვრთნელ ვიქტორ პროკოპენკოს თანაშემწე მისი სიმამრი ალექსეი სპირიდონია. შესაძლოა, ახალაიამ კარიერა სხვა გუნდშიც გააგრძელოს, ტრანსფერი თანხაზეა დამოკიდებული.

ამ უსიამოვნო ამბების შემდეგ კი ერთი სასიამოვნოც ვთქვათ. გუშინ „დინამოსთან" ერთად სრული დატვირთვით ვარჯიში დაიწყო კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ და არაა გამორიცხული, ბატესთან ითამაშოს კიდეც.

**კობა ინასარიძე**

# ვისლა საკმაოდ ღრმაა

*კრაკოვის „ვისლა" — პოლონეთის ათგზის ჩემპიონი, თასის ორგზის მფლობელი, სუპერთასის და ლიგის თასის მომგები, ევროტურნირებში გამოწრთობილი და პოლონეთის ნაკრების საბაზო გუნდი — ასეთი მეტოქე ჰყავს თბილისურ „ვიტ ჯორჯიას" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე. ჩვენც გადავწყვიტეთ, სტატისტიკის გარდა სხვა საინტერესოც მოგიყვეთ „ვისლაზე", რათა უფრო უკეთ გავიცნოთ ჩვენი მომავალი მეტოქე. ასე რომ, დავიწყოთ...*



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვისლა

კრაკოვი, პოლონეთი

დაარსდა 1906 წელს

კლუბის პრეზიდენტი: ტადეუშ ჩერვინსკი

მთავარი მწვრთნელი: ჰენრი კასპერჩაკი

სტადიონი: „ჯორდანს პარკი" (ტევადობა 9 410)

პოლონეთის ჩემპიონი (9): 1927, 1928, 1949, 1950, 1978, 1999, 2001, 2003, 2004

პოლონეთის თასის მფლობელი (2): 1926, 1967

ჩემპიონთა თასზე: 14 მატჩი, 5 მოგება, 3 ფრე, 6 წაგება, ბურთები 24:25

თასების მფლობელთა თასზე: 8 მატჩი, 5 მოგება, 0 ფრე, 3 წაგება, ბურთები 17:12

უეფას თასზე: 38 მატჩი, 17 მოგება, 13 ფრე, 8 წაგება, ბურთები 72:40

# ისტორია ჯორდანით დაიწყო

„ვისლა" 1906 წელს ვინმე ჰენრიკ ჯორდანმა დააარსა. ამ კაცის წარმომავლობაზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, თუმც ის კი ვიცით, რომ კრაკოვში სპორტული შეჯიბრებების უპირველესი თაოსანი იყო. ჯორდანმა კრაკოვის პარკში ქუჩიდან აყვანილი ბიჭები შეკრიბა და ხალხს ნაირგვარი სპორტული ღონისძიებებით ართობდა. მალე საქმემ იბარტყა და ჰენრიკ ჯორდანმა საფეხბურთო კლუბის შექმნა გადაწყვიტა, თუმც საამსაქმოდ ძლიერი ზურგიც ხომ სჭირდებოდა... ეს პრობლემაც მალე მოგვარდა — ჯორდანმა პროფესორი ტადეუშ ლოპუშანსკი შეიამხანაგა და 1906 წლის ოქტომბერში საფეხბურთო კლუბი „ვისლა" იშვა.

ლურჯი, წითელი, თეთრი — საკლუბო ფერების შერჩევას დიდი დრო არ წაუღია. „ვისლამაც" ფრთები გაშალა და პოლონეთის სხვადასხვა ქალაქები ბურთაობით მოიარა. 1910 წლის 20 დეკემბერს კი „ვისლა" UNIAFA-ში გაწევრიანდა, რაც ევროპის მოყვარულ კლუბთა კავშირს ნიშნავს.

პირველი სერიოზული მატჩი „ვისლამ" 1914 წლის 6 აპრილს „ჩარნი ლვოვთან" გამართა და 3:2 მოიგო. მერე კი, როგორც ხდება ხოლმე, კლუბი მოძლიერდა და წარმატებებიც მოვიდა — 1927 და 1928 წლებში „ვისლა" პოლონეთის ჩემპიონი გახდა.

კრაკოველებმა მესაძირკვლე დაასაფასეს და სტადიონს „ჯორდანს პარკი" დაარქვეს...





ჰენრი კასპერჩაკის და მთელი პოლონეთის მთავარი იმედი მაცეი ჟურავსკია

დღეს „ვისლა" პოლონური ფეხბურთის სახეა — ბოლო ოთხ სეზონში სამჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და ევროპაშიც გვარიანად ღრმად გაიჭრა. გეხსომებათ 1998-99 წლები, როცა უეფას თასზე მოთამაშე კრაკოველებმა სამი ეტაპი გაიარეს და ბოლოს იტალიურ „პარმასთან" მძიმე ბრძოლაში (1:1, 1:2) დამარცხდნენ. მომდევნო წლებში კი „ვისლამ" „ბარსელონა", „ინტერი" და „ლაციოც" გვარიანად აწუწუნა.



„ვისლას" წინააღმდეგ ჩვენებურ მამია ჯიქიას (შუაში) არაერთხელ უთამაშია

კრაკოველთა თავკაცი პოლონეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ცნობილი ჰენრი კასპერჩაკია. ფეხბურთელები კი... მაციე ჟურავსკი, ტომაშ კლოსი, დამიან გორავსკი, მიროსლავ შიმკოვიაკი, რადოსლავ მაიდანი, მარიუშ კუკიელკა — ამ ბიჭებით უდგას სული დღეს პოლონეთის ნაკრებს.

ახლახან „ვისლამ" ნიგერიელი კელეჩი ომეონუ გადაიბირა. 21 წლის თავდამსხმელზე კრაკოველები დიდ იმედებს ამყარებენ. თავად განსაჯეთ: 187-სანტიმეტრიან ახმახ ნიგერიელს თავის დროზე ცნობილ დანიელე ამოკაჩისთან ერთად უთამაშია და ნიგერიის ნაკრების კანდიდატადაც ითვლება.

საახალსეზონოდ „ვისლა" საფრანგეთში ემზადება და უკვე ორი ამხანაგური მატჩის გამართვაც მოასწრო. კრაკოველებმა ტომაშ ფრანკოვსკის გოლით „გენგამი" 1:0 დაამარცხეს, გუშინწინ კი „რენთან" 4:4 ითამაშეს, არადა, 1:3 აგებდნენ. პოლონელთაგან გოლები ფრანკოვსკიმ (3) და მარშინ ბაშჩინსკიმ გაიტანეს.

აქვე „ვისლას" ოპტიმალურ თერთმეტეულსაც გავაცნობთ: *მაიდანი — ბაშჩინსკი, კლოსი, კოვალჩუკი, მიხაილოვიჩი — კუკიელკა, ზინჩუკი, კანტორო, უჩე — ჟურავსკი, ფრანკოვსკი.*

**კახა ზალამბერიძე**

# პროფლიგამ ქობულეთი, რუსთავი და თავისი შეიწირა




რევაზ ლორთქიფანიძემ და დიმიტრი რამიშვილმა არ დათმეს

*ესეც სენსაცია: პროფლიგამ გუშინ აქამდე უმაგალითოდ პრინციპული გადაწყვეტილება მიიღო და ჩემპიონატის დაწყების დათქმულ დღემდე სამი დღით ადრე „ქობულეთი" და „რუსთავი" უმაღლესი ლიგიდან დაითხოვა.*

*მიზეზი — იმ ელემენტარული პირობების არქონა, რაც პროფლიგამ უმაღლესლიგელებს ჯერ კიდევ წინა ჩემპიონატის დამთავრებისთანავე მოსთხოვა.*

*...„რუსთავის" დალონებული მწვრთნელი იასონ ალადაშვილი და გუნდის უფროსი თამაზ გაბრიჭიძე იქვე, საკონფერენციო დარბაზის კართან იდგნენ და ნაღვლიანად საუბრობდნენ...*



თამაზ გაბრიჭიძის და იასონ ალადაშვილის „რუსთავი" ჩამოალაბორანტეს

— პროფლიგის კონფერენციაზე რუსთავის მერის დამოწმებული გარანტია ჩამოვიტანეთ. რუსთავში ყველაფერია საიამისოდ, რათა გუნდმა უმაღლეს ლიგაში ითამაშოს, მაგრამ პროფლიგას ეტყობა, უმაღლესიდან ჩვენი მოკვეთა, ადრევე ჰქონდა გადაწყვეტილი. ეგ კი არა. ათგუნდიანი ჩემპიონატისთვის კალენდარიც გამზადებული აქვთ. ახლა რაღა უნდა ვქნათ... პროფლიგამ ჩვენი არ ისმინა. გავიგეთ, რომ ქობულეთში ქომაგებს გზები გადაუკეტიათ, შესაძლოა, რუსთავშიც იგივე მოხდეს — გვითხრეს „რუსთავის" წარმომადგენლებმა.

ქობულეთელები კი არსად ჩანდნენ, ისინი კონფერენციას ესწრებოდნენ, მაგრამ პროფლიგამ სათქმელი რომ აღარაფერი დაუტოვა, დარბაზიც მალევე დატოვეს.

პროფლიგამ და უმაღლეს ლიგაში დარჩენილმა ათმა გუნდმა კი „ქობულეთისა" და „რუსთავის" ჩემპიონატიდან დათხოვნის გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს.

***ლევან ყიფიანი, თბილისის „ლოკომოტივის" გუნდის უფროსი:*** „ქობულეთსა" და „რუსთავს" უმაღლეს ლიგაში მონაწილეობისთვის ელემენტარული პირობები არ აქვთ, ფული — არა, სტადიონი — არა... გულსატკენია, მაგრამ ასეთი გუნდები უმაღლესში არ უნდა თამაშობდნენ. პირიქით, ჩვენთვის იქნებოდა ცუდი, მათთვის თამაშის უფლება რომ მიგვეცა. უხელფასო ფეხბურთელთან სხვა გუნდი დაიჭერდა საქმეს და მერე ჩაწყობილგარიგებული მატჩები მოიმატებდა. ასე რომ, ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ.

***მამუკა გუგეშაშვილი, „თბილისის" ერთ-ერთი დამფუძნებელი:*** „კარგი იქნებოდა, „ქობულეთსა" და „რუსთავს" პროფლიგის მოთხოვნები დაეკმაყოფილებინათ, მაგრამ რას ვიზამთ, მათ ეს ვერ შეძლეს. ჩვენ პრინციპული გადაწყვეტილება მივიღეთ და ეს მისასალმებელია."

სხვა გუნდების წარმომადგენლებიც, როგორც ვთქვით, „ლოკომოტივისა" და „თბილისის" აზრზე იყვნენ, რაც მთავარია, თავად პროფლიგის ხელმძღვანელობის პოზიცია იყო გამოკვეთილი და გადაწყვეტილებაც ჩემპიონატის დებულების შესაბამისი გამოვიდა. პროფლიგა ამ ჯერზე მადლობასაც კი იმსახურებს ნათქვამის გადაუთქმელობისა და თავისი სიტყვის გატანისთვის.

პროფლიგის პრეზიდენტის დიმიტრი რამიშვილისა და გენმდივნის რევაზ ლორთქიფანიძის პრესკონფერეცია შეკრების დამთავრებისთანავე იმ დარბაზშივე დაიწყო, საიდანაც 10 წუთით ადრე „ქობულეთისა" და „რუსთავის" მესვეურები „მიაბრძანეს".

— წინა ჩემპიონატის დამთავრებისთანავე პროფლიგამ უმაღლესი ლიგის კლუბებისათვის საგანგებო კომისია შექმნა. კომისიას უნდა შეესწავლა ყველა უმაღლესლიგელის პრობლემები, მატერიალურ-ფინანსური მდგომარეობა და დასკვნები ჩვენთვის წარმოედგინა. კომისია კლუბებთან, ასე ვთქვათ, რევიზიაზე, ორჯერ იყო. კლუბებს ნაირნაირი რეკომენდაციები მივეცით ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. გუშინ კი კომისიამ საბოლოო ანგარიში ჩაგვაბარა, ვიმსჯელეთ მოწოდებულ ინფორმაციაზე, დღეს პროფლიგის კონფერენციაზეც განვიხილეთ არსებული პრობლემები და ერთ საერთო დასკვნამდე მივედით: „ქობულეთი" და „რუსთავი" ჩვენი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობისთვის უმაღლესი ლიგიდან მოხსნილები არიან და მომავალ ჩემპიონატში პირველ ლიგაში ითამაშებენ. გუშინვე ჩვენ შევხვდით „რუსთავისა" და „ქობულეთის" წარმომადგენლებს, დიდხანს ვისაუბრეთ, მაგრამ მათგან დასაიმედებელი ვერაფერი მოვისმინეთ. პროფლიგამ თავისივე დებულება დაიცვა, ჩვენი პოზიცია პრინციპული იყო, რაც სამომავლოდ ისევ და ისევ ქართული ფეხბურთის განვითარებას წაადგება.

...ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა გუნდი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის დაისაჯა და უმაღლესიდან პირველ ლიგაში დაქვეითდა. მომავალში თუ ასეთი რამ განმეორდა, გუნდს უმაღლესიდან პირდაპირ რეგიონალლიგაში გადავისვრით, ისევე, როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში. ვიმედოვნებთ, ჩვენი დღევანდელი გადაწყვეტილება სხვა გუნდებისთვისაც სამაგალითო იქნება და ჩემპიონატს მომზადებულნი შეხვდებიან.

...„რუსთავისა" და „ქობულეთის" უმაღლესიდან მოხსნის გარდა, ვიმსჯელეთ კიდევ ორ საკითხზე. განვიხილეთ წყალტუბოს „სამგურალისა" და „ზესტაფონის" გაერთიანების ამბავი. ეს ორი გუნდი თავიანთი ინფრასტრუქტურით, ფეხბურთელებით, საკლუბო სტრუქტურით უკვე ერთია, დამფინანსებელი „ზესტაფონია" და მას უმაღლესში თამაშის ნება დავრთეთ. გადავწყვიტეთ მეორე მნიშვნელოვანი საკითხიც, რომელიც მსაჯობას შეეხებოდა. ახალ ჩემპიონატში მსაჯები ყოველი წრის წინ, პირდაპირ ცხრა ტურზე დაინიშნებიან. ცხრა ტურით ადრე ყველას ეცოდინება, რომელ მატჩზე მსაჯი ვინ იქნება. ამით თავიდან ავიცილებთ გუნდების პრეტენზიებს, ამ მატჩზე სხვა მსაჯი დანიშნეთ, ეს იმის მსაჯია და ჩვენ არ გვაწყობსო. ამ გადაწყვეტილებით, ვფიქრობთ, კორუფციას ერთი ტოტი ჩამოვაჭრით. თუ მსაჯი, დავუშვათ და, პირველსავე ტურში შეცდა, ის აუცილებლად დაისჯება, დაისჯება ფინანსურად, ერთთვიანი დისკვალიფიკაციით და ასე შემდეგ.

...არ არის გამორიცხული, მომავალ ჩემპიონატში უმაღლეს ლიგაში მონაწილეთა რაოდენობა 16-მდეც გაიზარდოს და უმაღლესში „ქობულეთმა" და „რუსთავმაც" ითამაშონ. თუმც მათ ჯერ ის პირობები, მოთხოვნები დააკმაყოფილონ, რაც უმაღლესლიგელებს სჭირდებათ. ჩვენი ცხოვრება ყოველდღიურად უკეთესობისკენ იცვლება და ვნახოთ, გაისად ეგებ მეტი შეძლებული გუნდი გვყავდეს.

...„რუსთავი" და „ქობულეთი" ელემენტარულ პირობებსაც ვერ აკმაყოფილებდნენ, ამიტომაც პროფლიგის წევრების გადაწყვეტილება ერთიანი იყო. განსხვავებული პოზიცია არავის ჰქონდა. საგანგებო კომისიამ ყველა კლუბის შესაძლებლობები შეისწავლა, შემდეგ ერთად ვიმსჯელეთ და დავრწმუნდით, რომ ამ ორი გუნდის გარდა უმაღლესში თამაშის საშუალება სხვას ყველას აქვს. რუსთავის მერი კონფერენციას თავად ესწრებოდა, წავიკითხეთ მისი წერილიც, ის პირობას იძლეოდა, რომ მალე „რუსთავში" ყველაფერი მოწესრიგდებოდა, მაგრამ პროფლიგამ მხოლოდ მერის გარანტიები საკმარისად არ ჩათვალა და „რუსთავს" შეღავათი არ გაუწია. სხვანაირად რომ მოვქცეულიყავით, მერე სხვა გუნდებისთვისაც უნდა დაგვეთმო.

...მართალია, ლიცენზირება სადღეისოდ მხოლოდ შვიდ გუნდს აქვს გავლილი, მაგრამ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის წლეულს ამის გაკეთებას კატეგორიულად არ ვითხოვდით. ამ სეზონში ლიცენზირება მხოლოდ ევროთასებზე მონაწილე გუნდებისთვის იყო აუცილებელი.

... 300 ათასი ლარი ანგარიშზე მინიმალური თანხაა იმასთან შედარებით, რასაც ევროპაში, თუნდაც რუსეთში ითხოვენ. ის 38 ათასი ლარიც, რომელიც გუნდებმა ჩემპიონატში მონაწილეობისთვის გადაიხადეს, არაა უსაშველო ფული. „ქობულეთმა" და „რუსთავმა" ესეც ვერ შემოიტანეს. უმაღლესლიგელთა რაოდენობა შემცირდა და ახლა, ალბათ, სამონაწილეო თანხის გაზრდაც მოგვიწევს. თუმც კონკრეტულად ამ საკითხზე სალაპარაკოდ ამ დღეებში კიდევ შევიკრიბებით.

... უმაღლესი ლიგიდან „რუსთავის" მოკვეთის გადაწყვეტილება წინასწარ მიღებული არ გვქონდა, თუმც კომისიის დასკვნიდან ვიცოდით, რომ „რუსთავი" ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილებას ვერ შესძლებდა. ამ გუნდმა ორი თვის წინ იცოდა, რაც უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ვერ მოახერხა და სამ დღეში რაღას გააკეთებდა?! ამიტომაც მომზადებულნი ვიყავით იმისათვის, რომ დღევანდელ კონფერენციაზე „რუსთავისა" და „ქობულეთის" უმაღლესი ლიგიდან მოკვეთას პროფლიგის წევრები არ შეეწინააღმდეგებოდნენ. ახლა ეს გუნდები უმაღლესში სათამაშოდ პირველ ლიგაში მოემზადებიან და ვნახოთ, გაისად როგორ იქნება. თუ შემდეგ ჩემპიონატში მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა დაგვჭირდება, ამას მხოლოდ წმინდა სპორტული პრინციპების გათვალისწინებით გავაკეთებთ.

... ფეხბურთი საქართველოში სპორტის პრიორიტეტული სახეობაა. ფეხბურთი ქვეყნის პრეზიდენტის პირად კონტროლზეა აყვანილი და უფლება არ გვაქვს, განვითარების პროცესი ოდნავაც რომ შევაფერხოთ.

... ჩვენი აზრით, დღესდღეობით საქართველოში სწორედ ათგუნდიანი ჩემპიონატია ოპტიმალური. თუმც, ერთხელაც ვიტყვით, კაცმა არ იცის, გაისად ჩვენი ცხოვრების დონე როგორი იქნება და ჩემპიონატში რამდენი გუნდი ითამაშებს. ისე კი, პროფლიგა ყოველთვის ისეთივე პრინციპული და თავისი დებულების დამცველი იქნება.

... რაკი უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა შემცირდა, ბუნებრივია, შესაცვლელია კალენდარიც. ჩემპიონატის დაწყებაც 31 ივლისისთვის გადავდეთ. ახალი კალენდრის პროექტს კი საშეჯიბრო კომიტეტი პროფლიგას ხვალ მიაწვდის, ზეგ ალბათ დავამტკიცებთ კიდეც.

... ორ-სამ დღეში გვეცოდინება სადისციპლინო კომიტეტის სრული შემადგენლობაც. ამ კომიტეტის წევრებს ფედერაციის პრეზიდენტი შეარჩევს.

... რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი მართლაც მონდომებული იყო, რომ ქალაქს უმაღლესში გუნდი ჰყოლოდა, ცდილობდა ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მაგრამ ის მარტო ყველაფერს ვერ გასწვდა.

... „რუსთავი" და „ქობულეთი" მომავალ ჩემპიონატში პირველ ლიგაში ითამაშებენ და პირველლიგელთა რაოდენობაც, შესაბამისად, 16-დან 18-მდე გაიზარდა. უმაღლესი ლიგიდან ორი გუნდი გავარდება, ორიც პირველიდან აღზევდება. აღარ იქნება არანაირი პლეი ოფები. რეგიონალლიგიდან პირველში გადამსვლელთა და გასავარდნთა რაოდენობის საკითხს კი მოგვიანებით, ასევე კონფერენციაზე განვიხილავთ. პირველი ლიგა ჩემპიონატს ხომ 15 აგვისტოს იწყებს.

... პროფლიგის სპონსორები ისევ ის კომპანიები არიან, რომლებიც წინა ჩემპიონატში იყვნენ. გენერალური სპონსორი კოკა-კოლაა, ასევე „საქართველოს ბანკი", „ჯეოსელი" და სადაზღვევო კომპანია BCI. სხვათა შორის, წლეულს ყველა გუნდს ფეხბურთელთა დაზღვევასაც მოვთხოვთ, BCI-მ გუნდებს მათი შეღავათიანი სადაზღვევო პოლისებიც კი შესთავაზა.

**ქობა ინასარიძე**

# ამერი კარგი ამხანაგია



ამერელთაგან ერთ-ერთ საუკეთესოს მირზა ბჟალავას ასეც აჩერებდნენ

გუშინ, უმაღლესი ლიგის გუნდების განკითხვის დღეს, პირველლიგელებმა „ამერმა“ და საგარეჯოს „ვიტ ჯორჯიამ“ „ნორჩი დინამოელის“ სკოლის სტადიონზე ამხანაგურად ითამაშეს.

საგარეჯოს „ვიტ ჯორჯია“ სახელშეცვლილი თსუ-ა, რომელიც წინა სეზონში თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ ფარმ-კლუბი იყო. ახალ სეზონში საგარეჯოელები დამოუკიდებელ გუნდად ითამაშებენ, თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ ფარმ-კლუბობას კი ასევე პირველლიგელი მცხეთის „ვიტ ჯორჯია“ გასწევს. სიტყვამ მოიტანა და, დავძინოთ, რომ მცხეთურ გუნდში ასაკობრივი ცენზია დაწესებული. საგარეჯოელ ვეტერინარებს ცენზი არ ეხებათ, თუმც გუნდი ახალგაზრდული ჰყავთ, უმეტესობა 17-18 წლის ფეხბურთელები არიან.

გუშინდელი მატჩი „ამერმა“ ძირითადი შემადგენლობით დაიწყო, მაგრამ პირველი ტაიმი ისე მიილია (ტაიმები 40-წუთიანი იყო), რომ ვიტელთა მეკარე იროდი თვალაბეიშვილი მხოლოდ ერთხელ შეაწუხეს — გიორგი სილაგავამ სულიკო დავითაშვილი პირისპირ გაიყვანა და მეკარემ დასწრებაზე იყოჩაღა. ამის გარდა ამერელებმა, გიორგი დეკანოსიძემ და თემურ სამსიანმა ორჯერ სახიფათოდაც დაარტყეს კარისკენ და ოდნავ ააცილეს.

ჯაფა არც „ამერის“ მეკარე ლადო ნადირაშვილს დასდგომია, თუმცა კარისკენ სახიფათო დარტყმები საგარეჯოელებს მეტი დაუგროვდათ. საერთოდ კი, „ამერს“ ნახევარდაცვაში თამაშის დალაგება გაუჭირდა.

შესვენებისას გიორგი ჩიხრაძემ მეკარის გარდა „ამერის“ შემადგენლობა მთლიანად შეცვალა, რაკი თბილისელები დღეს კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩს მართავენ თბილისში დაბანაკებულ „ზესტაფონთან“ და ფეხბურთელებს დასვენება სჭირდებოდათ.

შეცვლაზე შესულებთან ყველაზე უფროსი 21 წლის დავით ასკასტოპულო, უმრავლესობა კი 16 წლის ფეხბურთელები იყვნენ.

ეგებ უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მეორე ტაიმი აშკარად სჯობდა პირველს, რაც ჭაბუკი ამერელების დამსახურება იყო. ბურთის ფლობა, გონივრული პასები, სწორად გახსნა — ყველაფერი ძალიან კარგი საყურებელი იყო.

მატჩის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა, რომელიც გიორგი ნიკოლაიშვილის პასით რატი წინამძღვრიშვილმა გაიტანა.

ბოლოს კი დავძინოთ, რომ „ამერსა“ და „მეტალურგის“ ზემოთ ნახსენები მატჩი „შევარდენზე“ 18 საათზე დაიწყება.

**ბოტე ბეგელია**

# ახალკაცს ბალტიკა მოუგვარეს

*რომან ახალკაცის ტრანსფერს საშველი დაადგა: მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველი თავდამსხმელი ამიერიდან კალინინგრადის „ბალტიკაში“ ითამაშებს. ახალკაცი აქამდეც უნდა გადასულიყო პირველდივიზიონელ „ბალტიკაში“, მაგრამ მოულოდნელად პრობლემა გაჩნდა — „ლოკომოტივს“ მისი განათხოვრების უფლება არ ჰქონდა. სხვა რა გზა იყო, რკინიგზული კლუბის შეფმა ვალერი ფილატოვმა ჩვენებური მოსკოვში დააბრუნა და...*

## ჯანაშიას აღარ შია

— კონტრაქტის ზოგიერთი პუნქტი შევცვალეთ. ახლა უკვე ყველაფერი რიგზეა და მალე „ბალტიკას“ ჩემპიონატშიც შევეშველები — გვითხრა გუშინ რომან ახალკაცმა, კალინინგრადში რომ დავუკავშირდით.

იქამდე კი ახალკაცმა ახალ კლუბში პირველი გოლის გატანაც მოასწრო, ოღონდ ამხანაგურ მატჩში. გუშინწინ „ბალტიკა“ ბელარუსულ „ნემანს“ გაეჯიბრა და 4:1 მოუგო. რომამ კი პირველი გოლი შეუგდო მეტოქეს. საინტერესოა, რომ ახალკაცის დარად, პირველი ბალტიკური გოლი მიითვალა ზაზა ჯანაშიამაც. მოგეხსენებათ, ჭირვეული ქართველი ფორვარდი კალინინგრადულ კლუბში უკვე ერთი თვეა, ვარჯიშობს, თუმც, როგორც ყოველთვის, წონის „დაფერთხვას“ ცდილობს და აქამდე „ბალტიკაში“ ამიტომ არ უთამაშია. როგორც ჩანს, ჯანაშიამ მწვრთნელისთვის მიცემული სიტყვა შეასრულა და...

— ზაზასი აქ ძალიან ეიმედებათ. „ნემანთან“ გოლი რომ გაიტანა, მას შემდეგ უფრო მეტსაც ელიან მისგან — გვითხრა ახალკაცმა და საუბარი კალინინგრადული ამბებითვე გავაგრძელეთ...

— თითქოს ისევ „ლოკომოტივში“ უნდა დაბრუნებულიყავი, კონტრაქტის ასე უცბად შეცვლას არ ველოდით...

— მეც ასე მეგონა, მაგრამ... რა ვიცი, მოსკოვში პრეზიდენტს რომ შევხვდი, კონტრაქტს გადავხედეთ და შეთანხმება არ გაგვჭირვებია. უბრალოდ, იქ ქუთაისის „ტორპედოს“ ინტერესები იყო გათვალისწინებული და თურმე ამის გამო არ შემეძლო სხვა კლუბში იჯარით თამაში. ერთი სიტყვით, მხარეებმა მოილაპარაკეს და მეც უკვე კალინინგრადში ვარ.

— კმაყოფილი ხარ?

— კი, რაც უნდა იყოს, პირველი დივიზიონი დუბლების ჩემპიონატს ერთი თავით სჯობს. „ლოკომოტივის“ ძირითადში თამაშის შანსი ნაკლებად მქონდა და მირჩევნია, აქ მოვმაგრდე.

— რამდენი ხნით რჩები „ბალტიკაში“?

— ჩემპიონატის ბოლომდე ანუ ოთხი თვე გამომდის. მერე კი „ლოკომოტივში“ დავბრუნდები.

— შესაძლებელია, რომ კვლავ „ბალტიკაში“ დარჩე?

— არა მგონია. „ბალტიკაში“ იჯარით ვთამაშობ თორემ ისევ „ლოკომოტივს“ ვეკუთვნი. მაგაზე არც ვფიქრობ.

— ფინანსური მდგომარეობა როგორია?

— როგორც მითხრეს, გამოკეთდა, ადრე უფრო ცუდად ყოფილა საქმე.

— „ბალტიკა“ სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა. დარჩებით პირველ დივიზიონში?

— მგონი, კი. ახლა გუნდში ბევრი ახალი ფეხბურთელია, თან რამდენიმეს უმაღლეს დონეზეც უთამაშია. ასე რომ, ცუდი შემადგენლობა არ გვყავს. მთავარია, გუნდმა მოგებები დაიწყოს და ამას მომავალი ტურიდანვე ვეცდებით. განწირულები ნაღდად არ ვართ.

**ბახა შალამბერიძე**



რომან ახალკაცმა (მარცხნივ) ბალტიკური კონტრაქტი გოლით დაიწყო



ზაზა ჯანაშიამ წონა დაიფერთხა



# მოძრაობა თუ ცრუ მოძრაობა?

## მომენტების რეალიზაცია დინამოში

როგორც უნდა იყოს, თბილისის „დინამო“ ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა ქართულ ფეხბურთში. ბოლო წლების „დინამოში“ სულ რაღაც ხდება, სულ რაღაც ინტრიგებია და სულ მოძრაობაა — „დინამო“ ცოცხლობს და ალბათ ყველაფერი ასეც უნდა იყოს.

წინა სეზონის მიწურულს კი „დინამოში“ შოკური თერაპიის მაგვარი რეორგანიზაცია დაიწყო — ივო შუშაკი მიაბრძანეს და გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ალეკო გოგობერიშვილიც გაუშვეს გუნდიდან. უფრო ადრე, თანამეგობრობის თასის მოგების შემდეგ რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა რომ დატოვა გუნდი, ამას, ცხადია, შოკს ვერ დავარქმევთ, მაგრამ ესეც რეორგანიზაციული გეგმის შედეგი იყო.

თერაპიაზეც ვთქვათ. თუ წინა სეზონის მეორე ეტაპზე პირველ ლიგაში „დინამო 2“-ის ერთ თამაშს მაინც შეავლებდით თვალს, ნახავდით ძალიან კარგ ნაშრომს, რომლის ავტორი გია გეგუჩაძე გახლდათ. ჰოდა, პირველი გუნდის გაწვრთნაც გეგუჩაძეს გადაულოცეს, მის ხელში „დინამომ“ საქართველოს თასი ასწია.

როცა შარშანდელ შემოდგომაზე შუშაკური „დინამოს“ ფეხბურთელებს პრემიები ფაქტობრივად ჩამოაჭრეს, იმ გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი ჯერაც დინამოელია, თუმც გიორგი შაშიაშვილი და ლადო ახალაია ალბათ მალე დატოვებენ „დინამოს“ — ამ ეტაპზე მათი უცხოეთში წასვლა ძალიან რეალურია და ეს კლუბის ხელმძღვანელობის ნებაცაა.

შაშიაშვილის „დინამოდან“ გაშვებაზე სწორედ შარშანდელი ოქტომბრიდან ალაპარაკდნენ კულუარებში, ხოლო „დინამოს“ პირველ გუნდში ახალგამწვრთნელებულმა გეგუჩაძემ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე თქვა, რა იცით, რომ ახალაიას ადგილს გუნდში საერთოდ თუ ვხედავო.

რეორგანიზირებულმა „დინამომ“ ვერც სანდრო იაშვილი იგუა, ვინც ახლა სამარის „კრილია სოვეტოვში“ ისინჯება. ირაკლი ზოიძე და დავით კვირკველია — ორადორი ფეხბურთელი უწინდელ გუნდიდან, რომელთა ამ ეტაპზე „დინამოდან“ წასვლა მოსალოდნელი არ არის.

არ გამოგვრჩენია ლადო ბურდული — ის ფორმალური საკითხების მოგვარებასღა უცდის და ალბათ მალევე დაუქნევს ხელს „დინამოს“.

ზოგადად, მოძრაობა აუცილებელია და აუცილებელია მოძრაობის ცოდნაც — ერთი ხელის მოსმით ამდენი ფეხბურთელის გუნდიდან გაშვება ძალიან სათუთი და სარისკო პროცესია. მოძრაობის დრო და მომენტი კი „დინამომ“ ძალიან კარგად დაიჭირა — გუნდმა გასვლაზე მოუგო ბატეს 3:2 — კოზირები ახლა „დინამოს“ მწვრთნელსა და მესვეურთ უჭირავთ, სვლაც მაგათია, მაგრამ თერაპიულ შედეგებსაც მალე მოითხოვენ.

**დავით თავართქილაძე**

# კოპა ამერიკა 2004 პერუ (6-25 ივლისი)

## ნახევარფინალი

**არგენტინა 3:0 კოლუმბია**

1:0 ტევესი (33), 2:0 ლ. გონსალესი (50), 3:0 სორინი (80)

**არგენტინა:** აბონდანსიერი, ხ. ძანეტი, კოლოჩინი, ჰაინცე, სორინი, ლ. გონსალესი, მასკერანო, კილი გონსალესი (პლასენტე 85), ტევესი, ს. დელგადო (როსალესი 61), ფიგეროა (კიროგა 65)

**კოლუმბია:** ენაო, გ. მარტინესი, ოროსკო, ა. გონსალესი, ვიქტორია, ო. დიასი, აგილარი (ვიაფარა 58), პატინო, ე. მურილიო (ე. პერეა 62), კონგო, ტ. მორენო (დ. ფერეირა 74)

მსაჯი: ჟილბერტო იდალგო (პერუ)

22 000 მაყურებელი

# კარლიტომ დაატრიალა

## ბიელსამ არგენტინა ვერ გაიხსენა

**კარლოს ტევესი** საჯარიმოების უბადლო შემსრულებელია. „კარლიტომ“ ეს კოლუმბიასთან მატჩშიც დაამტკიცა. როგორც პერუსთან მეოთხედფინალში, მან ნახევარფინალშიც ბურთი ცოცხალ კედელს გადაავლო და ხუან კარლოს ენაოს კარის ჩარჩოში ჩასვა.

არგენტინამ პირწმინდად დაჩაგრა წინა „კოპა ამერიკას“ გამარჯვებული და სამხრეთ ამერიკას ახალი ჩემპიონი ეყოლება.

ხუან პაბლო სორინის და კარლოს ტევესს გოლამდე თითო შანსი ჰქონდათ, ხოლო კილი გონსალესის დარტყმული ბურთი მცველმა კარის ხაზიდან თავით გამოიტანა.

პირველი ტაიმის მიწურულს ენაომ ორჯერ იყოჩაღა — ლუჩანო ფიგეროას და სესარ დელგადოს არ გაატანინა.

მეორე ნახევრის დაწყებიდან ხუთ წუთში კოლუმბიას მეკარემაც ვერ უშველა. მარცხენა ფლანგზე განავარდებულმა ფიგეროამ ბურთი ლუის გონსალესს მიართვა, რომელმაც ტურნირზე მეორე გოლი მიითვალა.

ბოლოს ხუან პაბლო სორინმაც გაიხარა — მაურო როსალესის პასს თავი დაჰკრა და ანგარიშში სხვაობა სამამდე გაზარდა.

არგენტინელთა თავკაცი მარსელო ბიელსა ხარობდა: „ჩემი ნაკრების ყველა მატჩი ახლა არ მახსენდება, მაგრამ, ვფიქრობ, ეს საუკეთესოა. ხშირად არ ხდება, რომ გუნდმა ასე შთამბეჭდავად მოიგოს. ჩვენსა და კოლუმბიას შორის სხვაობა აშკარა იყო. ანგარიშიც ამას ასახავს. თამაშის განმავლობაში ბურთს ვაკონტროლებდით და მეტოქეს ერთი შანსიც არ დავუტოვეთ. კონტრშეტევების განხორციელების მცირე საშუალებაც კი არ მივეცით. ერთი თვის წინ ამხანაგურ შეხვედრაში კოლუმბიამ 2:0 მოგვიგო, მაგრამ თავად ნახეთ, თუ როგორ შეიცვალა ყველაფერი“.

კოლუმბიელთა მწვრთნელ რეინალდო რუედას ხელქვეით ნაკრებმა 11-ჯერ ითამაშა და ეს მხოლოდ მეორე მარცხი გამოდგა.

„ჩვენ საკუთარ თავს არ ვგავდით. არგენტინა საოცრად აგრესიული და მობილიზებული იყო. აშკარად ჩავვარდით, ფეხბურთში ეს ჩვეულებრივი ამბავია“ — თქვა რუედამ.

**ვაჟა ხუციშვილი**



კარლოს ტევესის საფირმო საჯარიმო

# კაცი კუჩუს ნომრით

## შეცდომის გასწორება: ვალტერ სამუელი




*„რეალის“ პრეზიდენტის, ფლორენტინო პერესის პროექტი, ბევრისთვის გამაღიზიანებელი სახელწოდებით „ელ გალაქტიკო“, წვრილმან ნაბიჯებთან ერთად ყოველ ზაფხულს ერთი საგანგებო ვარსკვლავის გადაბირებას ნიშნავს. გავიხსენოთ: 2000 — ლუიშ ფიგუ, 2001 — ზინედინ ზიდანი, 2002 — რონალდო, 2003 — დეივიდ ბექჰემი, 2004...*

*2004 წლის ზაფხული ჯერ არ გასულა და არავინ იცის, რას გაჩარხავს პერესი, მაგრამ მიუხედავად იმისა გაჩარხავს რამეს თუ ამწელიწადს დაისვენებს, ფაქტია, რომ ახლანდელი სატრანსფერო სეზონი თავისებურია. მიზეზი: 2003-04 წლებში „რეალმა“ ვერაფერი მოიგო და შეუიარაღებული თვალით გამოჩნდა, რომ ეს ვარსკვლავების დევნაში გართული პერესის ბრალი იყო — რამდენიმე, უკიდურესად საჭირო პოზიციაზე, მას „მუშა“, ოღონდ მაღალი კვალიფიკაციის ფეხბურთელი არ ჰყავდა.*

*და აი, შეცდომების გასწორებაც: მომავალ სეზონში მეცხრამეტე ნომრიან თეთრ მაისურას არგენტინელი ცენტრალური მცველი ვალტერ სამუელი ჩაიცვამს — სამუელი საზოგადოებას წარსულში ცნობილმა მადრიდელმა ფეხბურთელმა, დღეს კლუბის სპორტულმა დირექტორმა და პერესის მარჯვენა ხელმა, ემილიო ბუტრაგენიომ წარუდგინა. სამეულმა, რომელიც ამჟამად გუნდთან ერთად მადრიდში ვარჯიშობს და მარსელო ბიელსამ „კოპა ამერიკაზე“ არ წაიყვანა, საგანგებოდ წვეულ პრესკონფერენციაზე ზეზეულად მიყრილ კითხვებსა გასცა პასუხები*

— ვინ არის „რეალში“ თქვენი ფავორიტი ფეხბურთელი?

— გამორჩეულად ერთ მოთამაშეს ვერ დაგისახელებთ, ასეთი ფავორიტი არ მყავს. „რეალში“ ფეხბურთელთა ჯგუფი აღწევს ყველაფერს, მე კი მათთან ერთად ვიხმარ ყველა ღონეს. ჩემი ინტერესის საგანი უფრო გუნდში ყოფნაა, ვიდრე ცალკეულ ინდივიდთან ურთიერთობა.

— „რეალი“ დიდ ხანია ცენტრალურ მცველს ეძებდა. რას ნიშნავს ის, რომ არჩევანი თქვენზე შეჩერდა, გემაყებათ თუ პასუხისმგებლობა გბოჭავთ?

— ძალიან ვამაყობ, მადრიდელებმა თავიანთი არჩევანი ჩემზე რომ შეაჩერეს, ხოლო რაც შეეხება შებოჭვას და ზეწოლას, ყველა იმ კლუბში, სადაც მითამაშია, დიდი ზეწოლის ქვეშ მოვყოლილვარ და ვიცი, ეს რაც არის. არაფრის მეშინია, ზეწოლის მიუხედავად ყოველთვის ჩემს საქმეს ვაგრძელებდი. ჩემი ამოცანა ყოველთვის ერთია, მინდა ისე ვითამაშო, რომ გუნდმა მოიგოს. მე მადრიდში სანახაობისთვის არ ჩამოვსულვარ, ჩემი ამოცანაა ჩვენი კარი დავიცვა და თანაგუნდელებს მოგებაში შევუწყო ხელი.

— ამბობენ, რომ თქვენს მეწყვილედ პორტუგალიელ რიკარდუ კარვალიუს მოიყვანენ. გინახავთ მისი თამაში?

— დიახ, ვიცი როგორც თამაშობს, მინახავს „პორტუში“, თუმც ერთად რა და როგორ გამოგვივა, ეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული, შეფასებით კი, სხვებმა შეგვაფასონ. მე, ჩემი მხრივ, ნებისმიერ პარტნიორთან ვითამაშებ.

— „რეალში“ რას ისახავთ მიზნად?

— რამდენიმე წელიწადი არაფერი მომიგია და ამიტომ ჩემი მიზანი რაიმე ჯილდოს მოგებაა.

— „რეალის“ ახალი მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩოა, რა იცით მის შესახებ?

— ვიცი, რომ ის ესპანეთის ნაკრებს ედგა სათავეში და ვიცი ისიც, რომ შემდეგ „ბენფიკას“ წვრთნიდა.

— თქვენ „რეალში“ კუჩუს (ესტებან კამბიასოს) ნომერი მოგცეს, ორივენი ხომ არგენტინელები ხართ, ნიშნავს ეს რამეს?

— არაფერს, ნომერი „რომაშიც“ მე-19 ნომრით ვთამაშობდი, კუჩუ „რეალში“ რომ დარჩენილიყო, მაშინ სხვა მაისურას ჩავიცვამდი.

— იცი თუ არა, რომ „რეალის“ დაცვას ბოლო წლების განმავლობაში ძალიან აკრიტიკებდნენ?

— ვიცი და ვერ გამიგია, რადგან „რეალში“ დიდებული მცველები თამაშობენ და არ ვიცი, რა მოხდა, რატომ გაუხდათ მათ საქმე საკრიტიკოდ. მათ ადრე ტიტულები მოიგეს, მეც იმიტომ ჩამოვედი, რომ შევუერთდე და ჩემი წვლილი შევიტანო ახალი ჯილდოების მოგებაში.



# ბუფონის ორი კონტრაქტი

## ათენში უნდოდა, ტურინში დარჩა

*ჯანლუიჯი ბუფონმა „იუვენტუსთან“ სამ თვეში მეორე კონტრაქტს მოაწერა ხელი. ბოლოსწინა ხელშეკრულების თანახმად, მეკარე კლუბში 2008 წლის აგვისტომდე რჩებოდა, მაგრამ გუშინწინ მხარეებმა ეს თარიღი გადახაზეს და კონტრაქტში 2009 წელი ჩაწერეს*

„თანხმობა იოლად მოიძებნა. კლუბიცა და ფეხბურთელიც სრულიად კმაყოფილი დარჩნენ“ — განაცხადა „ბებერი ქალბატონის“ სატრანსფერო საქმეთა შეფმა ლუჩანო მოჯიმ.

ბუფონი ევრო 2004-ის შემდეგ კლუბს შეუერთდა და დიდი მონდომებით ემზადება ახალი სეზონისთვის.

„ძალიან მოწადინებულნი ვართ, მით უფრო, რომ „იუვენტუსში“ ყველა პირობა გვაქვს შექმნილი რაიმე მნიშვნელოვანი ჯილდოს მოსაპოვებლად — თქვა თავად ფეხბურთელმა — მთავარი სამიზნე იტალიის ჩემპიონის ტიტული იქნება, რომლის მოპოვებაშიც, ვფიქრობ, „მილანი“ და „ინტერი“ გაგვიწევენ კონკურენციას“.

შეგახსენებთ, რომ ბუფონის ჩამოთვლილმა ორმა მილანურმა კლუბმა ამ ზაფხულს უკვე იყიდა მნიშვნელოვანი ფეხბურთელები, „იუვენტუსი“ კი ჯერ კიდევ ემერსონის მოლოდინშია და „რომასთან“ ფასზე ვერ თანხმდება.

„ემერსონი დიდი ფეხბურთელია, მაგრამ, როგორც ბოლო ასი წლის გამოცდილება გვაჩვენებს, შეუცვლელიც არავინ არის. თუ ის ჩამოვა, ძალიან გაგვიხარდება, მაგრამ თუ ტრანსფერი ვერ განხორციელდება, მაინც კონკურენტუნარიან გუნდად დავრჩებით“ — დასძინა „ბებერი ქალბატონის“ კარის მცველმა, რომელზეც დიდი შთაბეჭდილება დავიდ ტრეზეგეს ისტორიამ მოახდინა და ამის შემდეგ, როგორც ჩანს, გულის სიღრმეში ფიქრობს, რომ ყველა სატრანსფერო დავა ტურინელების სასარგებლოდ დასრულდება. ტრეზეგესთან დაკავშირებით კი შეგახსენებთ, რომ ფრანგის „ბარსელონაში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ბოლოს ყველაფერი ძალიან ეფექტურად მოტრიალდა და ტრეზეგე, რომელიც „იუვენტუსის“ შეფებთან თითქოს ნაჩხუბარიც კი იყო, „შავთეთრთა“ ბანაკში დარჩა.

„ძალიან გავოცდი ტრეზეგე რომ ისევ აქ დამხვდა, მაგრამ გაოცებისგან ყბაც არ ჩამომვარდნია, რადგან ვიცოდი, რომ დავიდს ტურინში დარჩენა უჯობდა“.

საინტერესოა, რომ ბუფონს აგვისტოში ათენში გამგზავრება და ოლიმპიადაში მონაწილეობაც ძლიერ სდომებია, მაგრამ ოლიმპიური თამაშები „ბებერი ქალბატონის“ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპს ემთხვევა და, შესაბამისად, ჯიჯის ოცნებას ახდენა არ უწერია.

„მათ მთხოვეს ათენში გამგზავრება და თავიდან მეც დავყაბულდი, რადგან ქვეყნის სახელით რაიმე ჯილდოს მოგება ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, სამწუხაროდ, „იუვემ“ გასულ სეზონში მესამე ადგილი დაიკავა და ამიტომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოსახვედრად წინასწარი ბრძოლა სჭირდება, ხოლო ჯგუფში ადგილი აუცილებლად უნდა დავიკავოთ — და ამიტომ ოლიმპიადაზე ველარ მივემგზავრები“ — თქვა მეკარემ.

**პაპუნა ქედია**

# ითამაშეთ და მოიგებთ!

## მანჩინის კმაყოფილების საბაბი

„**ინტერმა**“ ამ დღეებში სამოყვარულო „ალტო ადიჯეს“ 3:0 მოუგო და ჟურნალისტებმაც მყისვე მიაშურეს „შავ-ლურჯთა“ ახალ მწვრთნელს, რობერტო მანჩინის. მანჩინი კმაყოფილი დაუხვდათ.

„ასეთ თამაშებში ანგარიში და შედეგი მნიშვნელოვანი არ არის, ჯერ მხოლოდ სეზონის დასაწყისში ვართ და ჩემი ფეხბურთელები მხოლოდ ფორმაში შესასვლელად ვარჯიშობენ, ცდილობენ თვისებები აღიდგინონ. სხვა საქმეა, რომ უნდა ვცადოთ, ეს თვისებები რაც შეიძლება სწრაფად აღვიდგინოთ, რადგან ნელნელა ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი თამაშებიც გვიახლოვდება.

წინ სერიოზული, მძიმე სეზონი გველის, მაგრამ ჩვენ ამან არ უნდა შეგვაშინოს და მხოლოდ ფეხბურთის თამაშზე უნდა ვიფიქროთ. თუ ფეხბურთს კარგად თამაშობ, შედეგი მოვა“.



რობერტო მანჩინი (მარცხნივ) „ინტერს“ სკუდეტოსთვის ამზადებს

მოგეხსენებათ, „ინტერი“ სატრანსფერო ბაზარზე ჯერჯერობით ერთ-ერთი ყველაზე აქტიური კლუბი გახლდათ და მანჩო შენაძენებით კმაყოფილი დარჩა:

„ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ფეხბურთელებს ჩემი სწამთ და მეც მათგან ყოველდღიურ ზრდას ვხედავ. მომავლის დიდი იმედი მაქვს, რადგან ჩემი ყველა ფეხბურთელი ძლიერი, დიდი პიროვნებაა, ოსტატია, რომელსაც სანახაობის შექმნა შეუძლია“.

„ალტო ადიჯესთან“ შეხვედრაში არ უთამაშია კრისტიან ვიერის, რომელსაც მუხლი აწუხებდა.

„ვიერი ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. ის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია და თან ძალიან დიდი სურვილი აქვს, კარგი თამაშით კრიტიკოსები გააჩუმოს. მას უბრალოდ, ცოტა დრო სჭირდება, რათა საბოლოოდ გამოჯანმრთელდეს, ევროპის ჩემპიონატზე მიღებული ტრავმა დაუამდეს. თუმცა ისე არ გამიგოთ, თითქოს „ინტერი“ მხოლოდ კრისტიანზე იქნება დამოკიდებული. ჩვენი გუნდის კარგ თამაშში ყველა ფეხბურთელმა უნდა მიიღოს მონაწილეობა“ — განმარტა მანჩინიმ.

**პაპუნა ქედია**





# დადებითი მექსეში

„რომას“ მწვრთნელი, ჩეზარე პრანდელი ამბობს, რომ „რეინჯერსთან“ 1:4 წაგების მიუხედავად, ახალწვეულის, ფილიპ მექსეშის თამაშით კმაყოფილია. შეგახსენებთ, ლაპარაკია რომაელთა და გლაზგოელთა გუშინწინდელ ამხანაგურ შეხვედრაზე.

„მთელ თამაშში ერთადერთი დადებითი მომენტი მექსეში გახლდათ — უთხრა პრანდელიმ ჟურნალისტებს — მას წაგება არ უნდოდა და მთელი თამაშის განმავლობაში იბრძოდა. ეს ძალიან სწორი სულისკვეთებაა და საბოლოოდ რაიმე ძალიან მნიშვნელოვანში გადაიზრდება“.

შეგახსენებთ იმასაც, რომ მექსეში „რომაში“ ამ ზაფხულს გადავიდა „ოსერიდან“ და რაც ძალიან საინტერესოა, კლუბებს სატრანსფერო თანხაზე ბოლო სიტყვა ჯერ კიდევ არ უთქვამთ ერთმანეთისთვის.

პრანდელიმ განაგრძო: „მექსეშის თამაში თავისთავად მეტყველებს ამ ფეხბურთელის ოსტატობაზე, თუმცა ისე ნუ გამიგებთ, რომ სხვებმა საერთოდ არ მოინდომეს. დღეს ჩვენ ვცდილობთ გარკვეული ფორმა მოვძებნოთ. თუმცა ცხადია, რომ ამას დრო დასჭირდება. ჩვენ კი მხოლოდ დასაწყის სტადიაზე ვართ.“

**პაპუნა ქედია**

# ალბერტინი ატალანტაში მადლობით გაუშვეს

**სერია A-ში** ახალაღზევებული „ატალანტა“ ადასტურებს, რომ „ლაციოსგან“ ვეტერანი ნახევარმცველი, დემეტრიო ალბერტინი იყიდა. ალბერტინმა ბერგამოელებთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

— „ლაციო“ მადლობას უხდის ფეხბურთელს მისი პროფესიული გარჯისთვის და შრომისთვის, რითაც კლუბის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა — წერია რომაული კლუბის საინტერნეტო ვებ-გვერდზე.

33 წლის ალბერტინი სულაც არ იქნება ბოლო ფეხბურთელი, რომელიც ამ ზაფხულს „ლაციოდან“ წავა. ამბობენ, რომ რომიდან მიმავალ გზებს გაუყვებიან სიმონე ინძაგი, კლაუდიო ლოპესი, პაოლო ნეგრო და კიდევ ერთი ვეტერანი, დინო ბაჯოო.

ამასობაში, როგორც გუშინ გაცნობეთ, „ლაციოს“ მეწილე გახდა რომაელი მილიონერი კლაუდიო ლოტიტო, რომლის წყალობითაც გუნდი ცოტათი ამოისუნთქებს.

გაურკვეველია მომავალი მწვრთნელის ამბავიც. ყველაზე მოსალოდნელი დინო ძოფის დანიშვნაა, თუმცა



მის გარდაც არიან კანდიდატები: ჯანლუკა ვიალი, ლუჩანო სპალეტი და რამდენიმე ნაკლებად ცნობილი მწვრთნელები.

არ არის გამორიცხული, მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდეს „ჩარლტონ ატლეტიკს“ ვეტერანი პაოლო დი კანიო.

**პაპუნა ქედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# JA! ანგელიკამ შეფერი ბუნდესმწვრთნელად გაიმეტა



ვინი შეფერის ცოლმა, 54 წლის ანგელიკამ, „ბილდს“ განუცხადა: „დიახ, ჩემი ქმარი პატრიოტია და მან ნაკრების მწვრთნელობა უნდა ითავოს, თუმც არც ის გამიკვირდება, რომ კამერუნში დარჩეს, სადაც ძალიან დაფასებულია“.

ვინი შეფერი გუშინ ფრანკფურტში ჩაფრინდა, სადაც საფეხბურთო კავშირის საგანგებო კომისიის წევრებს შეხვდა.

აეროპორტში მან ბილდელებს უთხრა: „სწორია, რომ ფრანც ბეკენბაუერმა ოტმარ ჰიცფელდს და ოტო რეჰაგელს ნაკრების თავკაცობა რომ შესთავაზა. ახლა გერმანიას ისეთი კაცი სჭირდება, რომელიც ვითარებას გამოაცოცხლებს. ბეკენბაუერმა მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციოდ ბევრი იშრომა, რაც ნაკრების მწვრთნელმა 2006-ში უნდა დააგვირგვინოს“.

ხოლო „შტუტგარტერ ცაიტუნგთან“ ინტერვიუში შეფერმა თქვა: „ჩვენ ნულიდან არ ვიწყებთ. მაგალითად, პრემიერლიგაში ორი ბრწყინვალე ახალგაზრდა გერმანელი თამაშობს — ჰიცლშპერგერი და ჰატი. კარგი ფეხბურთელებითაა სავსე ბუნდესლიგა. კლუბები უნდა ვაიძულოთ, რომ მეტი გერმანელი ათამაშონ და საქმე უფრო გაგვიადვილდება. მსოფლიოს ჩემპიონობის შანსი ნაღდად გვაქვს“.

შეფერი აეროპორტის დარბაზიდან რომ გადიოდა, მავანმა ქომაგმა მიაძახა: „ვინი! შენ ითავებ ამ საქმეს?“ — შეფერმა დააიმედა, ხოლო დანიშნავენ თუ არა მას ბუნდესნაკრების მწვრთნელად, მალე გაირკვევა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ნაცნობი პატრიკი სამი წლით

## კლუივერტმა რობსონს შირერი გაახსენა




პატრიკ კლუივერტი გუშინ ინგლისში ჩაფრინდა და „ნიუკასლთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ჰოლანდიელ ფორვარდს 11-ნომრიანი მაისურა ჩააცუტეს, რომელიც უგო ვიანას ეკუთნოდა და მისი პორტუგალიაში დაბრუნების შემდეგ უპატრონოდ იყო.

„ასი პროცენტით მზად ვარ სათამაშოდ და მსურს, რომ ახალ გუნდში ჯილდოები მოვიგო“ — თქვა კლუივერტმა.

„იგი ერთ-ერთი საუკეთესო შენაძენია ბოლო წლების განმავლობაში. ეს ამბავი „ნიუკასლში“ შირერის მოსვლას მაგონებს. პატრიკს დიდი ხანია ვიცნობ, საკმაოდ გამოცდილია, უდიდეს კლუბებში უთამაშია და საუკეთესო წლები ჯერ კიდევ წინ აქვს“ — განაცხადა ბობი რობსონმა.

ამსტერდამის „აიაქსის“ სკოლის აღზრდილმა ფორვარდმა 1996 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მილანს“ გამარჯვებისა გაუტანა და მომდევნო სეზონში „მილანშივე“ გადავიდა.

სერია A-ში 27 მატჩში მხოლოდ ექვსი გოლი შეაგდო და 1998 წელს „ბარსელონამ“ 13 მილიონ დოლარად შეიძინა. ჭირვეულმა კლუივერტმა „ბარსელონაში“ ექვსი სეზონი გაატარა და 90 გოლი მიითვალა, ხოლო 79 სანაკრებო მატჩში ორმოცი გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ცოტა იარა თუ ბევრი...

## რივალდო ოლიმპიაკოსმა აცდუნა



REUTERS

პირეოსის „ოლიმპიაკოსის“ პრესმდივანის თქმით, რივალდო ამ ბერძნულ კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს.

ბრაზილიელი ფეხბურთელი ათენში გუშინ ღამე უნდა ჩასულიყო. მას თან ახლავს „ოლიმპიაკოსის“ წარმომადგენელი გეორგიოს ლუვარისი.

ბერძნულმა მედიამ ტრანსფერს ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში უდიდესი უწოდა.

მედიისავე ცნობით, ბრაზილიელი წელიწადში მილიონნახევარ ევროს მიიღებს.

რივალდო ჯერ კიდევ გასულ ზამთარში „ბოლტონში“ გადასვლას ლამობდა, მაგრამ მხარეები ვერ მორიგდნენ. „ბოლტონის“ ვარიანტი რამდენიმე დღის წინაც განიხილებოდა. ინგლისური კლუბის განცხადებით, მათ ფაქსიც კი მიიღეს რივალდოსგან გასულ შაბათს, მაგრამ მწვრთნელმა, სემ ალარდაისმა ყველაფერი უარყო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დორტმუნდში დაბრუნებული ამოროზო ბირმინგემში წავიდა



ბრაზილიელი მარსიო ამოროზო იმედოვნებს, რომ „დორტმუნდში“ მის ტანჯვას ბოლო მოეღება და იგი პრემიერლიგის „ბირმინგემში“ გადავა.

29 წლის ფორვარდსა და „ბორუსიას“ შორის კონფლიქტი შარშან შემოდგომაზე დაიწყო. ამოროზო კლუბის ექიმებს არ ენდო და სამკურნალოდ სამშობლოში წავიდა. მერე გერმანიაში ჩასვლა დაიგვიანა, რისთვისაც დასაჯეს და გუნდიდან მოკვეთეს.

გასულ ზამთარს მან „სელტიკში“ გადასვლა სცადა, მაგრამ მარტინ ონილმა დაიწუნა, ახლა კი „ბირმინგემის“ ვარიანტი გამოუჩნდა.

დორტმუნდელებს ამჟამად ჰოლანდიელი ბერტ ვან მაარვიკი წვრთნის. ბრაზილიელს „ბორუსიამ“ დაბრუნების შანსი მისცა, თუმც ფორმადაკარგულმა ფეხბურთელმა მაარვიკის გუნდში ფეხი ვერ მოიკიდა.

„დორტმუნდში დავრჩებოდი, მაგრამ ჩემდამი პატივისცემასა და ყურადღებას ვერ ვგრძნობ — დაიჩივლა ამოროზომ — წასვლა ამიტომაც გადავწყვიტე, ივლისის ბოლოს „ბირმინგებთან“ კონტრაქტს გავაფორმებ“.

ეს ტრანსფერი თუ შედგა, მარსიო ამოროზოს „ბირმინგემში“ მიქაელ ფორსელი დახვდება, რომელიც იქ „ჩელსის“ ჰყავს განათხოვრებული და ადრე მიონხენგლადბახის „ბორუსიაშიც“ უთამაშია.

**ვაჟა ხუციშვილი**

ესტონეთის ნაკრებისა და ტალინის „ფლორას“ მეკარეთა მწვრთნელი ვალდემარას მარტინკენასი სლოვენიაში ტრაგიკულად დაიღუპა. 39 წლის ლიტველი ქალაქ ნოვა გორიცას ტბაში დაიხრჩო.

„ფლორა“ სლოვენიაში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩის სათამაშოდ ჩავიდა. გუშინწინ მარტინკენასმა და გუნდის მეორე მწვრთნელმა კარელ ვოოლაიდმა გადაწყვიტეს, ცურვასა და ყვინთვაში გაჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვოოლაიდი ნაპირზე მშვიდობით გამოვიდა, მარტინკენასი კი ველარ დაბრუნდა. მაშველებმა ის დამხრჩვალი ამოიყვანეს.

ვალდემარას მარტინკენასი „ჟალგირისში“ 1991 წელს ლიტვის, ხოლო 1993-ში კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში უკრაინის ჩემპიონი გახდა.



ვალდემარას მარტინკენასი

მისი მწვრთნელობისას „კარედომ“ ლიტვის ჩემპიონატი მოიგო.

მარტინკენასს ცოლი და ორი შვილი დარჩა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბენიტესი გალმიდან შეედავა

## რაფაელის დახატული ვალენსია მახინჯია

**ესპანური „ვალენსიას“ ყოფილი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი 2003-04 წლების შესანიშნავი სეზონის შემდეგ შემდეგ თითქოს კვლავაც ხაიმე ორტის კლუბში უნდა დარჩენილიყო, თუმცა სხვადასხვა მიზეზთა გამო კარიერის გასაგრძელებლად ინგლისური „ლივერპული“ ირჩია. გთავაზობთ ბენიტესის ინტერვიუს „მარკასთან“, სადაც ოდინდელი ვალენსიელი მის წინააღმდეგ მიმართულ ინტრიგებზე დაუფარავი გულისტკივილით ლაპარაკობს**




— მიუხედავად წინა სეზონში მოგებული დიდი ჯილდოებისა, თქვენი და „ვალენსიას“ ურთიერთობა საკმაოდ ცუდად დასრულდა. რას გვეტყოდით ამის შესახებ?

— გეტყვით, რომ ეს ამბავი გაზვიადებულია. ვიღაცას აშკარად აწყობს, ჩემსა და „ვალენსიას“ შორის მომხდარი გაუგებრობით იხეიროს და მედიაში ბინძურ სკანდალებს აგორებს. ჩემ ძველ კლუბს ყოველთვის მადლიერებით გავიხსენებ, თუმცა იქ „მესტალიაზე“ საწყენიც ბევრი მქონდა, რაშიც, სამწუხაროდ, ზოგიერთი მარტო მე მადანაშაულებს.

— „ვალენსია“ მორალური და ეკონომიკური ზარალის კომპენსაციისთვის თქვენგან 3 მილიონ ევროს ითხოვს...

— ესპანეთიდან წამოსვლის წინ, კლუბის პრეზიდენტ ხაიმე ორტის შევხვდი და ვალენსიური კონტრაქტის დეტალებზე ვისაუბრეთ. გარწმუნებთ, მას პრეტენზიები არ ჰქონია. თუმც, როგორც კი „ლივერპულში“ გადავედი, გაზეთებში გაჩნდა ცნობები, „ვალენსიას“ თავკაცობის მიერ სასამართლოში ჩემს წინააღმდეგ ჩივილის შესახებ. ალბათ ორტის ურჩიეს, ბენიტესთან ჭიდილით გულშემატკივართა სიმპათიებს დაიმსახურებთ, „ლივერპულს“ კი ბევრ ფულს დასცინცლავთო.

— „ვალენსიაში“ ამბობენ, რომ „ლივერპულთან“ კონტრაქტი გუნდის დატოვებამდე რამდენიმე ხნით ადრე გქონდათ გაფორმებული...

— ეს ტყუილია. როგორც უკვე გითხარით, ამგვარი ლაპარაკით უნდათ, ვალენსიელ გულშემატკივრებში სახელი გამიტეხონ.

— ესე იგი, თქვენს წინააღმდეგ მიზანმიმართული კამპანია მიმდინარეობს?

— არა მარტო ახლა, „ვალენსიაში“ მწვრთნელთა მისამართით ადრეც იყო ცილისმწამებლური გამოთქმები. მართალია, დღეს უკეთესი ვითარებაა, მაგრამ კლუბში კიდევაა ხალხი, სხვებზე ჭორების გავრცელება რომ ევალებათ.

— ერთ-ერთი რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ „ვალენსიადან“ თქვენს წასვლაში დიდი წვლილი გუნდის გენერალურ დირექტორ მანუელ იორენტეს მიუძღვის...

— იორენტე კლუბში ჩემი ყოფნის დროსაც დაუფარავად საუბრობდა ახალი მწვრთნელის მოყვანაზე. მერე კონტრაქტის განახლებაც დიდი ხნით გააჯანჯლა.

— იმავე ინტერვიუში თქვით, რომ „ვალენსიას“ პრეზიდენტს არ სურდა თქვენთან ხელშეკრულების განახლება და ამ ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ პრიმერაში გაჩემპიონებამ და უეფას თასის მოგებამ აიძულა...

— ორი თვის განმავლობაში უცნაურად ვაჭრობდნენ, არადა, დასაყოვნებელი არაფერი იყო. თუ უნდოდათ, კონტრაქტს უცბად გააფორმებდნენ.

— ხომ არ ნანობთ „ვალენსიას“ ასე მიტოვებას?

— ცხადია, საყვარელ გუნდთან განშორების გამო ვწუხვარ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ გულშემატკივრებს ბენიტესი ყოველთვის კარგ პიროვნებად ეხსომებათ.

— მოდით, გულწრფელად გვიპასუხეთ, საბოლოო ჯამში „ვალენსიადან“ რატომ წახვედით?

— ალბათ დაფასებისა და მხარდაჭერის ნაკლებობა ვიგრძენი...

— და რატომ მაინცდამაინც „ლივერპული“?

— სხვა კლუბებზე უკეთესი სამუშაო პირობები შემომთავაზეს. დანარჩენი გუნდებიდანაც მქონდა მიწვევები, ზოგი ეკონომიკურად „ლივერპულზე“ უფრო საინტერესოც, მაგრამ მე „ენფილდ როუდზე“ გადასვლა ვარჩიე.

— რითი მიიპყრო ლივერპულელთა ყურადღება რაფაელ ბენიტესმა?

— ალბათ, „ვალენსიას“ ბრწყინვალე წინა სეზონის წყალობით...

— ახალი გუნდის პრეზიდენტმა რა მოგთხოვათ?

— ბრძოლისუნარიანი გუნდის შექმნა და პრემიერლიგის ჩემპიონობა სურს. ვეცდები, ეს მოვახერხო. კონტრაქტით „ენფილდ როუდზე“ კარგა ხანს მიწევს დარჩენა...

— თქვენზე იმასაც ამბობდნენ, „ვალენსიიდან“ ინგლისში ფეხბურთელების გადაყვანით არის დაინტერესებულიო...

— ეს ინფორმაციაც ჩემი საწინააღმდეგო კამპანიის ნაწილია. „ვალენსიას“ დასუსტება ბენიტესის ინტერესებში არ შედის. თუ რომელიმე ფეხბურთელი ინგლისში გადმოვა, მხოლოდ ორივე მხარის საერთო შეთანხმებით.

— ესპანეთის ნაკრებზეც ვთქვათ. ეროვნული გუნდის თავკაცად ლუის არაგონესი დანიშნეს. თქვენ თუ დათანხმდებოდით ქვეყნის პირველი გუნდის გაწვრთნას?

— საკუთარი ქვეყნის ნაკრების თავკაცობა ნებისმიერი მწვრთნელისთვის საამაყოა. ამ მხრივ, გამონაკლისი არც მე ვარ, მაგრამ ჯერჯერობით თავს შევიკავებდი, უფრო მეტი გამოცდილების დაგროვებაა საჭირო.

# მეორე დროგბას სად ნახავ?

## მარსელმა გაყიდა და ვერ ყიდულობს




„მარსელმა“ დიდიე დროგბა „ჩელსის“ მიჰყიდა, ახლა კი მის შემცვლელს ეძებს. სამხრეთელები ჩემპიონ „ლიონს“ პეგი ლუინდულას თაობაზე დაუკავშირდნენ.

ჩემპიონებმა ფორვარდის სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო მოითხოვეს. ლიონელთა პრეზიდენტმა ჟან მიშელ ოლამ კი თქვა: „მათ არარეალური ფასი შემოგვთავაზეს. ჩემი მარსელელი კოლეგა კრისტოფ ბუშე პირადად არ მინახავს, მაგრამ დავურეკავ. ლუინდულასაც უნდა ვკითხოთ, ეგებ თავად სურს „მარსელში“ გადასვლა.“

ეს ვარიანტი თუ არ გამოვიდა, კრისტოფ ბუშეს სათადარიგოც მომზადებული აქვს. ფრანგულ კლუბს თვალი იან კოლერისთვის დაუდგამს, რომელიც გაცილებით იაფი, დაახლოებით 6 მილიონი ევრო ღირს.

შეგახსენებთ, რომ „მარსელში“ მიუნხენის „ბაიერნიდან“ ბიქსენტ ლიზარაზუ გადავიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

### ფეხბურთის რუკასთან



**ფრანგული** „მონაკოს“ ფორვარდი შაბანი ნონდა ვარჯიშზე დაშავდა და სულ ცოტა ერთი თვე დაისვენებს. ფეხბურთელი საფრანგეთის ახალი ჩემპიონატის საწყის ტურებსა და ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპსაც გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ ნონდას წინა სეზონშიც მუხლის სერიოზული ტრავმა აწუხებდა და ნახევარი წელი სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

**ინგლისის** ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ ყოფილი მცველი მარტინ კიოუნი პირველ დივიზიონში გავარდნილ „ლესტერში“ ითამაშებს. მხარეებმა უკვე შეათანხმეს პირადი კონტრაქტის პირობები, რომელიც მას შემდეგ გაფორმდება, როცა კიოუნი სამედიცინო შემოწმებას გაივლის. აღსანიშნავია, რომ ვეტერანი ფეხბურთელი შაბათს 38 წლის გახდება.

**ფრანგულ** „ოსერს“ იგორს სტეპანოვსის გადაბირება სურს. ლონდონის „არსენალის“ ყოფილი მცველი ამჟამად თავისუფალი აგენტია და ახალ კლუბს ეძებს. „ოსერს“ ლატვიელი იტალიურ „რომაში“ გადასული ფილიპ მექსეშის შემცვლელად ესახება. სტეპანოვსით ფრანგები ევრო 2004-ზე ჩინებული თამაშის შემდეგ დაინტერესდნენ.

**ჩეხეთის** ნაკრებისა და პრაღის „სპარტას“ ვეტერანმა ნახევარმცველმა კარელ პობორსკიმ კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. შეთანხმების პირობები ჯერჯერობით არ ხმაურდება, თუმც ცნობილია, რომ პობორსკი კვლავაც დედაქალაქელთა ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად დარჩა.

**ინგლისურმა** „ჩელსიმ“ ლისაბონის „ბენფიკას“ 23 წლის ნახევარმცველი ტიაგუ მენდეში შეიძინა. ტიაგუმ უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და „არისტოკრატებთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი უახლოეს დღეებში აშშ-ში შეკრებაზე მყოფ „ჩელსის“ შეუერთდება.

**ესპანური** „ვალენსია“ კიდევ ერთი იტალიელით გაძლიერდა: „პარმადან“ მცველი ემილიანო მორეტი გადაიბირა. ახალგაზრდა მცველმა სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა და ხუთწლიანი კონტრაქტიც გააფორმა. მორეტის „მესტალიაზე“ ხუთი თანამემამულე დახვდება — მწვრთნელი კლაუდიო რანიერი, ამადეო კარბონი, მარკო დი ვაიო, ბერნარდო კორადი და სტეფანო ფიორე.

**გერმანია** 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე ერთი წლით ადრე, 15 ივნისიდან 29 ივნისამდე უკვე ტრადიციად ქცეულ კონფედერაციის თასის გათამაშებას უმასპინძლებს. ტურნირი 5 ქალაქში ჩატარდება — კიოლნში, ფრანკფურტში, ნიურნბერგში, ჰანოვერსა და ლაიპციგში.

**ესპანური** „ბარსელონა“ ფინელი ცენტრალური მცველით, სემი ჰიიპიათი დაინტერესდა. იცით, ჰიიპია „ლივერპულში“ თამაშობს. „ბარსას“ შეფებს უფრო არგენტინელი გაბრიელ მილიტოს გადაყვანა სურთ, ჰიიპია სათადარიგო ვარიანტია.

**იტალიურ** „პერუჯას“ მწვრთნელი სერსე კოზმი ტოვებს. კლუბმა ოფიციალური პრეს-რელიზი უკვე გამოაქვეყნა თავის ვებ-საიტზე, მადლობა კოზმის გაწეული სამუშაოსთვის, მაგრამ მისი ოთხწლიანი ერა „რენატო კურიზე“ დამთავრდაო. ახალ თავკაცს „პერუჯა“ მალე დანიშნავს.

### უკრაინა

**პრემიერლიგა. II ტური**

კრივბასი 1:2 დნიპრო
მეტალისტი 1:4 მეტალურგი (დ)
ობოლონი 0:1 ვორსკლა
შახტარი 1:0 ჩერნომორეცი
ტავრია 1:1 მეტალურგი (ზ)
ვოლინი 3:2 ილიჩევეცი
ზაკარპატია 1:2 დინამო
არსენალი : ბორისფენი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეტალურგი (დ) | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| ვორსკლა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| დნიპრო | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 6 |
| შახტარი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ვოლინი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ჩერნომორეცი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| მეტალურგი (ზ) | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ბორისფენი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ტავრია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ილიჩევეცი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ზაკარპატია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ობოლონი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| კრივბასი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| არსენალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| მეტალისტი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:8 | 0 |

### ავსტრია

**მაქსბუნდესლიგა. II ტური**

პაშინგი 3:0 შტურმი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პაშინგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| რაპიდი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:1 | 3 |
| აუსტრია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ტიროლი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| შტურმი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ზალცბურგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ადმირა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| გრაცერი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| მატერსბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ბრეგენცი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | 0 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# ინგლისური ტრანსფერები 2004-2005

## არსენალი

მოვიდნენ)
ლუპოლი (პარმა, იტალია)
ვან პერსი (ფეიენოორდი, ჰოლანდია)
ალმუნია (ალბასეტე, ესპანეთი)

წავიდნენ
შილსი (ჰიბერნიანი, შოტლანდია)
ბენტლი (ნორვიჩი)
სტაკი (მილუოლი)
ბაილი (ჩესტერფილდი)
ჩილვერსი (კოლჩესტერი)
ჰოლოვეი (ფარნბორო)
პრობეტსი (როჩდეილი)
კიოუნი (ვესტ ჰემი)
ტავლარიდისი (ლილი, საფრანგეთი)
ბრედლი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ნ. კანუ (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პაულინიუ (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ნიკოლაუ (კონტრაქტი დაუმთავრდა)
შაბანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სტეპანოვსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვილტორდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ჩელსი

მოვიდნენ
ჩეხი (რენი, საფრანგეთი)
კეჟმანი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია)
პ. ფერეირა (პორტუ, პორტუგალია)
რობენი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია)
დროგბა (მარსელი, საფრანგეთი)
ტიაგუ მენდეში (ბენფიკა, პორტუგალია)

წავიდნენ
ხ. ვერონი (ინტერი, იტალია)
ჰასელბაინკი (მიდლსბრო)
მელხიოტი (ბირმინგემი)
ფორსელი (ბირმინგემი)
კრესპო (მილანი, იტალია)
გრონკიაერი (ბირმინგემი)
კ. კოული (ასტონ ვილა)
დესაი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბოგარდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პეტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბუსუფა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დ. ჯეფერსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კიტამირიკე (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## მანჩესტერი

მოვიდნენ
ა. სმიტი (ლიდსი)
ჰაინცე (პსჟ, საფრანგეთი)
ლ. მილერი (სელტიკი, შოტლანდია)
პიკე (ბარსელონა, ესპანეთი)
ჯუზეპე როსი (პარმა, იტალია)

წავიდნენ
პაფი (ლიდსი)
ლინჩი (სანდერლენდი)
ნარდიელო (ბარნსლი)
ჯოუსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბ. უილიამსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვუდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ნიუკასლი

მოვიდნენ
მილნერი (ლიდსი)
კლუივერტი (ბარსელონა, ესპანეთი)

წავიდნენ
გრიფინი (პორტსმუთი)
ს. კოლდუელი (სანდერლენდი)
მაკონგო (ტრანმერი)
კერი (მოზერუელი, შოტლანდია)
ორი (ბრისტოლ სიტი)
სპიდი (ბოლტონი)
ლუა ლუა (პორტსმუთი)
ფერელი (უოტფორდი)
უგო ვიანა (სპორტინგი, პორტუგალია)

## ლივერპული

მოვიდნენ
ჯ. სისე (ოსერი, საფრანგეთი)

წავიდნენ
ჰესკი (ბირმინგემი)
შეირუ (მარსელი, საფრანგეთი)
ს. გილესპი (ბრისტოლ სიტი)
ვუგანი (ჩესტერი)
ბაბელი (შტუტგარტი, გერმანია)
ფოლეი-შერიდანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## კრისტალ პალასი

მოვიდნენ
ჰადსონი (ფულემი)
სპერონი (დანდი, შოტლანდია)
ბოისი (ლუტონი)

წავიდნენ
ჯ. გრეი (ბირმინგემი)
ფლემინგი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჯეიმს სმიტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)



სერ ალექსი კმაყოფილია, ალან სმიტი და ლაიამ მილერი გადაიბირა

## ბოლტონი

მოვიდნენ
ბრიჯისი (ლიდსი)
ლ. ფერდინანდი (ლესტერი)
ჯაიდი (ესპერანსი, ტუნისი)
სპიდი (ნიუკასლი)

წავიდნენ
ფრანდსენი (უიგანი)
ჯეფ სმიტი (პორტ ვეილი)
ჩარლტონი (ნორვიჩი)
ი. ბა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფორშელე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჰაუი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ლორდ-კანგანა (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ბირმინგემი

მოვიდნენ
ჰესკი (ლივერპული)
იზეტი (ლესტერი)
ჯ. გრეი (კრისტალ პალასი)
მელხიოტი (ჩელსი)
ფორსელი (ჩელსი)
გრონკიაერი (ჩელსი)

წავიდნენ
პარსი (ვესტ ბრომვიჩი)
ტ. უილიამსი (ბარნსლი)
ბ. ჰიუზი (ჩარლტონი)

## მიდლსბრო

მოვიდნენ
მენდიეტა (ლაციო, იტალია)
რაიციგერი (ბარსელონა, ესპანეთი)
ვიდუკა (ლიდსი)
ჰასელბაინკი (ჩელსი)

წავიდნენ
სტოკდეილი (როტერჰემი)
დოვი (რაშდენი)
გულივერი (რაშდენი)
ა. ჯონსტონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დევიდ მერფი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რასელი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გ. სმიტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ფულემი

მოვიდნენ
მაკკინლი (ლესტერი)
ენდი კოული (ბლექბერნი)

წავიდნენ
შ. დევისი (ტოტენჰემი)
ჰეილსი (შეფილდ იუნ.)
ჰარლი (შეფილდ იუნ.)
ჰადსონი (კრისტალ პალასი)
უადუ (რენი, საფრანგეთი)
ფაზაკერლი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტ. დევისი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
შტოლცერსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბიზანტი (თამაში მიატოვა)

## ტოტენჰემი

მოვიდნენ
შ. დევისი (ფულემი)
პ. რობინსონი (ლიდსი)
ფულოპი (მტკ, უნგრეთი)
პედრუ მენდეში (პორტუ, პორტუგალია)
ლ. მილსი (სუინდონი)
რ. ციგლერი (გრასჰოპერი, შვეიცარია)

წავიდნენ
ციგე (მიონხენგლადბახი, გერმანია)
ჯალალი (უოქინგი)
პოსტიგა (პორტუ, პორტუგალია)
ანდერტონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პოიეტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფოსტერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჰირშფილდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ჩარლტონი

მოვიდნენ
ბ. ჰიუზი (ბირმინგემი)
ს. ანდერსონი (აკადემისკი, დანია)
რომედალი (პსვ ეინდჰოენი, ჰოლანდია)
ელ კარკური (პსჟ, საფრანგეთი)

წავიდნენ
დე ბოლა (ჩესტერფილდი)
ა. დინი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ს. ჰიუზი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რუფუსი (თამაში მიატოვა)
როუეტი (თამაში მიატოვა)

## ბლექბერნი

მოვიდნენ
დიკოვი (ლესტერი)
დ. მატეო (ლიდსი)
დე პედრო (სოსიედადი, ესპანეთი)

წავიდნენ
ენდი კოული (ფულემი)
კამინგი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მაკკეი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ა. ნელსონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რენტონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მაიკლ ტეილორი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## საუთჰემპტონი

მოვიდნენ
კრუჩი (ასტონ ვილა)
ვან დამი (აიაქსი, ჰოლანდია)
კ. ჯოუნსი (უოტფორდი)
მ. ნილსონი (ჰალმსტადი, შვედეთი)

წავიდნენ
ს. ჰანტი (კოლჩესტერი)
უილიამსონი (უიკომბი)
ა. დელგადო (აუკასი, კოლუმბია)
გლისონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რ. ჯოუნსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ლუკასი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
როჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გ. უილიამსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ასტონ ვილა

მოვიდნენ
ლაურსენი (მილანი, იტალია)
კ. კოული (ჩელსი)

წავიდნენ
კრუჩი (საუთჰემპტონი)
ჰინსი (ტემუორთი)
ედვარდსი (ვულვერჰემპტონი)
კ. მარშალი (სენტ ჯონსტონი, შოტლანდია)
დაბლინი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რ. იონსენი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კორმელი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კაჩლული (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სკულიონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ევერტონი

მოვიდნენ
მ. ბენტი (იფსვიჩი)

წავიდნენ
ალექსანდერსონი (გიოტებორგი, შვედეთი)
ჯ. ჯოუნსი (მაკლსფილდი)
ანსუორთი (პორტსმუთი)
ჟერარი (ნოტინგემი)
სიმონსენი (სტოკი)
ს. ბრაუნი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჯერსიდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჯემილი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ა. მუგანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბ. მუგანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
შუმახერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სიმსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## მანჩესტერ სიტი

მოვიდნენ
ტეტჩერი (ლესტერი)
დე ფლიგერი (ტილბურგი, ჰოლანდია)
დ. მილსი (ლიდსი)

წავიდნენ
ტარნატი (ჰანოვერი, გერმანია)
ტიატო (ლესტერი)
ს. ელიოტი (სანდერლენდი)
ველანი (შეფილდ უენსდი)
ვუოსო (სანტოს ლაგუნა, მექსიკა)
არასონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვიკენსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვესტვუდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## პორტსმუთი

მოვიდნენ
გრიფინი (ნიუკასლი)
ლუა ლუა (ნიუკასლი)
ანსუორთი (ევერტონი)
ეშდოუნი (რედინგი)

წავიდნენ
შერინგემი (ვესტ ჰემი)
ტარდიფი (ოქსფორდი)
ნ. ბარეტი (დანდი, შოტლანდია)
დ. ბარტონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
უ. ჰანტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ოლშარი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პეტეფერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
შერვუდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ნორვიჩი

მოვიდნენ
ბენტლი (არსენალი)
საფრი (ქოვენთრი)
პ. გალაჰერი (დანდი იუნ, შოტლანდია)
ჩარლტონი (ბოლტონი)

წავიდნენ
რობერტსი (ჯილინგემი)
ისტონი (უიკომბი)
დ. სინკლერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კრიჩტონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რივერსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ვესტ ბრომვიჩი

მოვიდნენ
შიმეკა (ლესტერი)
პარსი (ბირმინგემი)
ალბრეხტსენი (აკადემისკი, დანია)
კუშჩიკი (ჰერტა, გერმანია)

წავიდნენ
ჯილკრისტი (როტერჰემი)
ფეისი (ჰალი)
მკანდავირე (ჰერეფორდი)
ხ. ბრაუნი (კიდერმინსტერი)
კინსელა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ნდური (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სკუბო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვოლმერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)



ლივერპულის „ენფილდზე“ ფრანგი ჯიბრილ სისეც ითამაშებს

# სარბიელი და კრონ

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ავსტრია. I დივიზიონი. I ტური** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 008 | ალტახი-ლინცერი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 21.00 | 009 | გრატკორნი-კაფენბერგი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |
| 21.00 | 010 | ლეობენი-კერნტენი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |
| 21.00 | 011 | რიდი-აუსტრია(ლ) | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 21.00 | 012 | უნტერზიბენბრიუნი-ვიორგლი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა. II ტური** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 21.30 | 016 | სერვეტი-გრასჰოპერი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 21.30 | 017 | ბაზელი-ქსამაქსი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 21.30 | 018 | იანგ ბოიზი-შაფჰაუზენი | 1,4 | 4,0 | 7,0 | 1,03 | 1,16 | 2,54 |
| | | **დანია. სუპერლიგა. I ტური** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 021 | სილკებორგი-კოპენჰაგენი | 3,6 | 3,3 | 1,85 | 1,72 | 1,22 | 1,18 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 17.00 | 022 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 17.00 | 023 | ნორდსიელანდი-ორჰუსი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 17.00 | 024 | ჰერფიოლგე-ვიბორგი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.35 | 025 | ბრიონდბიუ-ოდენსე | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა. XIII ტური** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 030 | იურგორდენი-იორებრო | 1,65 | 3,5 | 4,6 | 1,12 | 1,21 | 1,98 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 031 | კალმარი-ელფსბორგი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 032 | სუნდსვალი-ტრელებორგი | 1,6 | 3,6 | 4,8 | 1,1 | 1,2 | 2,05 |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 033 | გიოტებორგი-ლანდსკრონა | 1,6 | 3,5 | 5,0 | 1,09 | 1,21 | 2,05 |
| 21.00 | 034 | ჰელსინგბორგი-აიკ | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა. XV ტური.** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 037 | ენჩიოპინგი-ფალკენბერგი | 1,8 | 3,4 | 3,5 | 1,17 | 1,18 | 1,72 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 038 | ბოდენსი-გაის | 2,8 | 3,3 | 2,2 | 1,51 | 1,23 | 1,32 |
| 20.00 | 039 | ბრაგე-ვესტეროსი | 2,15 | 3,3 | 2,9 | 1,3 | 1,23 | 1,54 |
| 20.00 | 040 | ბრომაპოიკარნა-იოსტერსი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 20.00 | 041 | ჰეკენი-ფრისკა | 1,15 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,03 | 3,33 |
| 20.00 | 042 | ასირისკა-ოპერა | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| 20.00 | 043 | ატვიდაბერგი-ფრიოლუნდა | 2,15 | 3,3 | 2,9 | 1,3 | 1,23 | 1,54 |
| 20.00 | 044 | გეფლე-ნორჩიოპინგი | 2,2 | 3,3 | 2,8 | 1,32 | 1,23 | 1,51 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა. XV ტური** | | | | | | |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 047 | სოგნდალი-სტაბეკი | 2,15 | 3,3 | 3,0 | 1,3 | 1,25 | 1,57 |
| 20.00 | 048 | ოდ გრენლანდი-ბოდიო გლიმტი | 1,75 | 3,4 | 4,0 | 1,15 | 1,21 | 1,83 |
| 20.00 | 049 | რუსენბორგი-ფრედრიკსტადი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 20.00 | 050 | ლილესტრიომი-ვიკინგი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 20.00 | 051 | ტრომსიო-ჰამარი | 1,55 | 3,6 | 5,3 | 1,08 | 1,19 | 2,14 |
| 22.15 | 052 | მოლდე-ბრანი | 2,15 | 3,3 | 3,0 | 1,3 | 1,25 | 1,57 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 053 | ვოლერენგა-ლინი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| | | **ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XV ტური** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 059 | ლაჰტი-ინტერი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,36 | 1,25 | 1,36 |
| 19.30 | 060 | როვანიემი-ალიანსი | 3,3 | 3,2 | 2,0 | 1,62 | 1,24 | 1,23 |
| | | **სლოვაკეთი. I ლიგა. I ტური.** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 107 | ბ.ბისტრიცა-ტრენჩინი | 1,5 | 3,5 | 5,6 | 1,04 | 1,18 | 2,15 |
| 20.00 | 108 | დუბნიცა-პუხოვი | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,13 | 1,21 | 1.77 |
| 20.00 | 109 | სობოტა-რუჟომბეროკი | 2,5 | 3,0 | 2,45 | 1,36 | 1,23 | 1.34 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 12.30 | 110 | პეტრჟალკა-ინტერი | 2,0 | 3,1 | 3,3 | 1,21 | 1,24 | 1,59 |
| | | **ხორვატია. 1.HNL. I ტური.** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 114 | ჰაიდუკი-პულა | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 115 | მედიმურიე-რიეკა | 2,5 | 3,0 | 2,45 | 1,36 | 1,23 | 1,34 |
| 20.00 | 116 | ზაგრები-ინტერი | 2,0 | 3,1 | 3,3 | 1,21 | 1,24 | 1,59 |
| 22.00 | 117 | კამენი-ვარტექსი | 2,2 | 3,1 | 2,9 | 1,28 | 1,25 | 1,49 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 118 | ზადარი-დინამო | 4,8 | 3,4 | 1,6 | 1,99 | 1,2 | 1,08 |
| | | **ბრაზილია. სერია A. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 23.00 | 136 | კურიტიბა-ბოტაფოგო | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 23.00 | 137 | კრიკიუმა-ატლეტიკო პრ | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 23.00 | 138 | ფლუმინენსე-კორინთიანსი | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,13 | 1,24 | 1,74 |
| 23.00 | 139 | ინტერნასიონალი-ჟუვენტუდი | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 23.00 | 140 | სან პაულუ-ვასკუ და გამა | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 24.00 | 141 | ვიტორია-გუარანი | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 01.00 | 142 | კრუზეირო-სან კაეტანო | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 01.00 | 143 | ფლამენგო-ატლეტიკო მნ | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |
| 03.30 | 144 | პალმეირასი-ფიგეირენსე | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 03.30 | 145 | პარანა-პაისანდუ | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 03.30 | 146 | პონტე პრეტა-გრემიო | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 03.30 | 147 | გოიასი-სანტოსი | 2,25 | 3,1 | 2,9 | 1,3 | 1,26 | 1,49 |
| | | **აშშ. MLS** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 01.00 | 151 | კოლორადო-კოლამბუსი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,25 | 1,26 | 1,57 |
| 03.30 | 152 | ჩიკაგო-ნიუ იორკი | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| 04.30 | 153 | დალასი-ვაშინგტონი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| 04.30 | 154 | კანზასი-ლოს ანჯელესი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,25 | 1,26 | 1,57 |
| 06.00 | 155 | სან ხოსე-ნიუ ინგლენდი | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,13 | 1,24 | 1,74 |
| | | **გერმანია. ლიგის თასი** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 159 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## ფორმულა 1 (გერმანია). 24 ივლისი (12.00)

| 8001 გამარჯვებული | 8201 ექვსეული | 8301 უსწრ. წრე |
|---|---|---|
| მ.შუმახერი ------------ 1,35 | 1,05 ---------- 1,02 | 1,4 |
| ბარიკელო -------------- 5,5 | 1,5 ---------- 1,08 | 4,0 |
| მონტოია -------------- 12,0 | 2,5 ------------ 1,2 | 7,0 |
| პიცონია --------------- 30,0 | 6,0 ------------ 1,5 | 15,0 |
| კულტჰარდი --------- 20,0 | 4,0 ------------ 1,3 | 15,0 |
| რაიკონენი -------------- 8,0 | 1,8 ---------- 1,15 | 6,0 |
| ტრული --------------- 12,0 | 2,5 ------------ 1,2 | 10,0 |
| ალონსო -------------- 12,0 | 2,5 ------------ 1,2 | 10,0 |
| ბატონი ------------------ 9,0 | 1,9 ---------- 1,15 | 6,0 |
| სატო ------------------ 25,0 | 4,6 ------------ 1,4 | 12,0 |
| ფიზიკელა ------------ 100,0 | 20,0 ------------ 3,0 | 40,0 |
| მასა ------------------ 150,0 | 20,0 ------------ 3,5 | 50,0 |
| უებერი --------------- 100,0 | 20,0 ------------ 3,0 | 40,0 |
| კლიენი --------------- 150,0 | 20,0 ------------ 3,5 | 50,0 |
| და მატა ------------- 150,0 | 20,0 ------------ 3,5 | 50,0 |
| პანისი ---------------- 150,0 | 20,0 ------------ 3,5 | 50,0 |
| ჰაიდფელდი --------- 250,0 | 50,0 ------------ 7,0 | 75,0 |
| პანტანო ------------- 300,0 | 50,0 ------------ 7,0 | 75,0 |
| ბრუნი ---------------- 500,0 | 100,0 ---------- 12,0 | 100,0 |
| ბაუმგარტნერი ------ 500,0 | 100,0 ---------- 12,0 | 100,0 |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით

CROCO
BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# ქართველები ათენში

# ნადირობა ოქროზე

## რევაზ, ერთი კაი პური გვაჭამე!



**რევაზ მინდორაშვილი**

**თავისუფალი ჭიდაობა**

დაიბადა: 1976 წლის 1 ივლისს, გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში
წონა: 84 კგ
სიმაღლე: 176 სმ
ოჯახი: მშობლები და და

შედეგები

1999 წლიდან 2004-მდე საქართველოს ჩემპიონი
2002 ევროპის ჩემპიონატი (ბაქო) — ბრინჯაო
2003 ევროპის ჩემპიონატი (რიგა) — ოქრო
2003 მსოფლიოს ჩემპიონატი (ნიუ იორკი) — ბრინჯაო
2004 ევროპის ჩემპიონატი (ანკარა) — ვერცხლი
საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი

*საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა, ლომის წილი 84 კილოგრამში მოჭიდავე რევაზ მინდორაშვილმა დაიდო. ნიუიორკულ მსოფლიოს პირველობაზე ბრინჯაო მოიგო და მანამდე ნაგროვები ევროპული ჯილდოები გაამდიდრა. ბოლო სამ ევროპაზე კი უკვე მედლების სრული კომპლექტი აქვს დაგროვილი. 28 წლის კახელ კაცს სხვა ქვეყნის სახელით ჭიდაობის და, შესაბამისად, ფულის შოვნის შანსიც არაერთხელ მისცემია, მაგრამ საქართველო არასდროს ეთმობოდა და მის საზღვრებს გარეთ კვირაზე მეტხანს გაჩერება ვერ წარმოუდგენია. თბილისისა და მშობლიური კახეთის სიყვარულის გამო ჯერ კიდევ საბერძნეთში წასვლამდე ერთი თვით ადრე უკვე შინ დაბრუნებაზე ფიქრობს. ოლიმპიური მიზანი კი, რაღა თქმა უნდა, ოქროა. მინდორაშვილი ხომ ოლიმპიური მედლის ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად ისედაც ითვლება*

— ბავშვობაში ლამის სპორტის ყველა სახეობაში მოვსინჯე ძალა. 14 წლისა კი ჭიდაობასაც მივადექი. ბიძაშვილმა, თემურ მინდორაშვილმა მიმიყვანა დავით გონაშვილთან. კარგი სპეციალისტია და ამის გამო ჭიდაობას განსაკუთრებით ეტანებოდნენ. ბევრი ნიჭიერი ბავშვიც გამოჩნდა, მაგრამ მალე უმწვრთნელოდ დავრჩით. გონაშვილი დარბაზიდან საკმაოდ შორს ცხოვრობდა და ყოველდღე სიარულის საშუალება აღარ ჰქონდა. იმ დროს უკვე პატარებში საქართველოს ჩემპიონი ვიყავი 44 კილოგრამში და აბა, ვარჯიშს როგორ მივატოვებდი. ბიჭები ვიკრიბებოდით და ჩვენით ვვარჯიშობდით. დაახლოებით წელიწადნახევარი ასე გავატარეთ.



**— შენს გარდა დიდ წარმატებებს იმ შემადგენლობიდან ვინმე სხვამაც ხომ არ მიაღწია?**

— ჯერ არა, მაგრამ 19 წლის აჩიკო ქიტიაშვილს კარგი შანსი აქვს. ახლა თბილისში ვარჯიშობს და დღითიდღე უმატებს. იმ რთულ დროს ჩვენში ყველაზე პატარა იყო. ძალიან ბევრნი იყვნენ ისეთები, რომელთაც სერიოზული კარიერის აწყობა შეეძლოთ, მაგრამ სპორტს თავი მიანებეს.

**— კერპი თუ გყავდა?**

— ისევ მწვრთნელი დავით გონაშვილი. ყველა ვცდილობდით, მისთვის მიგვებაძა. ცხადია, მის მხარდაჭერასაც ვგრძნობდით და ყოველი ვარჯიშის მერე უფრო მონდომებულებიც ვხდებოდით. დიდი მოჭიდავეებიდან კი ლევან თედიაშვილი მირჩევნია ყველას.

**— პირადად როდის გაიცანი?**

— საქართველოს ჩემპიონატზე, ჯერ კიდევ გამოუცდელს მიყურა და გამომელაპარაკა. მას მერე ბევრჯერ შევხვედრივართ და დავახლოვდით კიდეც. საოცარი ადამიანია. რომ დამინახავს ან გემრიელად გამაცინებს ან გამაწითლებს.

**— შენი ყველაზე დიდი გულშემატკივარი ვინ არის?**

— მამას ვერავინ შეედრება. თავიდან ჭიდაობა არ აინტერესებდა, მაგრამ ნელ-ნელა ჩაუღრმავდა და ახლა ჩემზე ბევრად მეტი იცის, ისტორიიდანაც და თანამედროვე ჭიდაობაზეც.

**— ალბათ კახეთში შენი ჩასვლაც ხშირად ქეიფის მიზეზი ხდება.**

— ხშირად კი არა, ყოველთვის, ხოლო თუ წარმატებასაც მივაღწიე, კახური პურმარილი ჩემს ჩაუსვლელადაც განაღდებულია.

**— თავად თუ გიყვარს ქეიფი?**

— ქეიფი ვის არ უყვარს, განსაკუთრებით მაშინ, ტურნირისთვის მზადებაში ხელს თუ არ მიშლის.

**— თამადობა გეხერხება?**

— არა, მაგრამ სადღეგრძელოები შემთვრალს უკეთ გამომდის.

**— ჭიდაობას მივუბრუნდეთ. წაგების გადატანა გიჭირს?**

— წაგებას გააჩნია. თუ ალალად მაჯობეს, საკუთარ თავზე უფრო ვბრაზობ. მერე ვცდილობ, იმ ნიუანსებზე ვიმუშავო, რაც წაგებულ შეხვედრაში არ გამომივიდა. მაგრამ თუ არაობიექტური მსაჯობის გამო წავაგე, მაშინ მართლა ძალიან ვბრაზდები.

**— ხშირად დაჩაგრულხარ?**

— საკმაოდ. ბოლოს წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე გამამწარეს. ზედიზედ მეორედ უნდა მეჩემპიონა, მსაჯებს რომ არ გაეწირე. ოქროსთვის მახპინძელს ვხვდებოდი და ფინალამდეც და უშუალოდ ფინალშიც ყველა ღონე იხმარეს, რომ მას მოეგო.

**— შენს დადებით და უარყოფით თვისებებზეც გვითხარი.**

— ჭიდაობისას მაქსიმალურად ვიხარჯები, მთავარი დადებითი თვისებაც ალბათ ბრძოლისუნარიანობაა. უარყოფითიც ბევრი მაქვს, მაგრამ ჯობია მათზე მწვრთნელმა ილაპარაკოს.

**— ტრავმები ხშირად გაწუხებს?**

— საკმაოდ, თუმც ვცდილობ, დიდი შეჯიბრებების დროს ყოველთვის მწყობრში ვიყო. საბედნიეროდ, ჯერჯერობით გამომდის.

**— ტრიბუნების მხარდაჭერა გეხმარება თუ პირიქით, ხელს გიშლის?**

— გულშემატკივრის შეძახილების მოსმენას რა სჯობს. მართალია, ამით საქართველოში დიდად განებივრებულები არ ვართ, მაგრამ ქომაგობა არც უცხოურ ტურნირებზე გვაკლია. ყველაზე მეტად ეს შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიგრძენი. ნიუ იორკის დარბაზში ამერიკაში მცხოვრები ჩემი ბიძაშვილები და მათი ნაცნობმეგობარი ქართველობა მოვიდა. სიმართლე გითხრათ, მათი ხმა ჩემამდე არ მოსულა, მაგრამ ის მუხტი საოცრად დამეხმარა. რომ ვიცოდი, ტრიბუნებზე ჩვენებურები ისხდნენ, გაორმაგებული ენერგიით ვჭიდაობდი.

**— ათენში შენი უმთავრესი კონკურენტები ვინ იქნებიან?**

— რუსი საჯიდოვი, კუბელი რომერო და ამერიკელი სანდერსონი. ეს სამი კაცია ძირითადი ფავორიტი.

**— კარიერის უცხოეთში გაგრძელებაზე თუ დაფიქრებულხარ?**

— არასოდეს. ეს გამორიცხულია, ვარიანტები მქონდა, მაგრამ არც დავფიქრებულვარ. საზღვარგარეთ ერთ კვირაზე მეტს ვერ ვძლებ. საქართველოში ჭიდაობა სულ რომ ამოიძირკვოს, მაინც აქ დავრჩები. ათენში ჯერ არ წასულვარ და უკვე იმაზე ვფიქრობ, უკან როდის დავბრუნდები. ამ ქვეყანაზე ორად ორი რამ არ მბეზრდება, თბილისი და კახეთი.

**— ნაკრებში ყველაზე ახლოს ვისთან ხარ?**

— ყველასთან ვმეგობრობ, განსაკუთრებით კი ლექსო მოდებაძესთან. მის იუმორის გრძნობას ვაფასებ. ამ მხრივ ნაკრებში არავის უჭირს. იუმორით გადაგვაქვს ყოველთვის დაძაბულობა.

**— ჭიდაობის გარდა კარგად რა გამოგდის?**

— ბილიარდი და ფეხბურთი. მგონი, ამ ორში არ მოვიკოჭლებ.

**— თავისუფალ დროს როგორ ატარებ?**

— სიწყნარე მიყვარს. მუსიკის მოსმენაც. ხმაურიან გართობებს კი არ ვეტანები. მომწონს ნადირობაც.

**— ყველაზე დიდი რა მოგიკლავს?**

— მე ფრინველებზე ვნადირობ, მწყერიც მომიკლავს, გარეული და შინაური ქათამიც.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# 85 პროცენტით ქართველი ვარ

## შემონდ უილიამსმა ბარგი დაკარგა, საქართველომ უილიამსი იპოვა

*„ვიცი, რომ საქართველოს ნაკრებს საკმაოდ დიდი პერსპექტივა აქვს, ნბა-ში მოთამაშე ქართველებთან ვახლობლობ და მათთან თამაშზეც ამიტომ დავთანხმდი" – გვითხრა გუშინ შემონდ უილიამსმა, სან ჯორჯოში რომ დავუკავშირდით... მაშ ასე, უილიამსი იტალიაშია და ტურნირის პირველ მატჩში რუსების წინააღმდეგ სათამაშოდ ემზადება. ეგაა, ფეხის მსუბუქი ტრავმა აწუხებს და ჯერ არ იცის, გავა თუ არა მოედანზე. ყოველ შემთხვევაში, მას ამის დიდი სურვილი აქვს...*



— აეროპორტში სპორტული ჩანთა დავკარგე. უფრო სწორად, ბარგს არ ჩამოჰყვა და დავრჩი სპორტული სამოსის გარეშე. თქვენი ნაკრების ხელმძღვანელები დამპირდნენ, რომ ყველაფრით მომამარაგებენ და მერე ვარჯიშსაც შევძლებ.

**— ჯერ არ გივარჯიშიათ?**

— არა, წუხელ ძალიან დაღლილები ჩამოვედით იტალიაში. არც მე და არც ზაზა ფაჩულიას ვარჯიშის თავი არ გვქონდა, თან, სპორტული ფორმაც დავკარგე. ახლა კი ჯერ დილაა და საღამოს ვარჯიშზე ალბათ ვიქნები.

**— გავიგეთ, ფეხი გაწუხებთ...**

— ჰო, მცირე ტრავმა მაქვს და დანამდვილებით არ ვიცი, ვივარჯიშებ თუ არა. ისე კი, დიდი სურვილი მაქვს, ამხელა გზაზე ტყუილად ხომ რა ჩამოვედი.

**— ვარჯიშისა და თამაშის გარდა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტსაც უნდა შეხვედროდით...**

— შევხვდი და ველაპარაკე თქვენი ფედერაციის პრეზიდენტს. ყველაფერი კარგად მიდის და ალბათ გავხდები კიდეც საქართველოს ნაკრების წევრი. ყველაფერი მაშინ გაირკვევა, საქართველოს პასპორტს რომ მომცემენ.

**— ესე იგი, თქვენი მხრიდან პრობლემა არ ყოფილა. მაინც რატომ დათანხმდით საქართველოს ნაკრებში თამაშს?**

— მეგობრების თხოვნის გამო — ზაზა ჩემი თანაგუნდელი იყო, „ორლანდოში" რომ ვთამაშობდი. ის ძალიან თბილი და მეგობრული ადამიანია, მთხოვა და უარი არ მითქვამს. ასევე ახლოს ვიცნობ პორტლენდელ ვლად სტეფანიას და დენვერელ „სკიტას" — მათაც ბევრი გააკეთეს, რომ ეს გადაწყვეტილება მიმეღო.

**— საქართველოს ნაკრებში თამაშის სანაცვლოდ ანაზღაურებას არ გპირდებიან?**

— ფულზე ახლა არ ღირს ლაპარაკი. თუკი რამე ანაზღაურებაზე იქნება საუბარი, ეს კონფედენციალური საკითხია და არ მინდა, ამაზე ღიად ვილაპარაკო.

**— მომავალ თანაგუნდელებს გაიცნობდით... რას იტყვით ქართველ კალათბურთელებზე?**

— კარგი ბიჭები არიან. ნბა-ელი ქართველების შემხედვარე დაახლოებით ვიცოდი, როგორი კალათბურთელებიც დამხვდებოდნენ იტალიაში. თქვენს ნაკრებში კარგი ბიჭები თამაშობენ, ისინი ძალიან პერსპექტიულებიც არიან და ევროპაში მალე იტყვიან თავის სიტყვას. საქართველოს ნაკრებში თამაში იმიტომაც გადავწყვიტე, რომ ამ გუნდთან ერთად ევროპის უმაღლესი დონის გუნდებთან შეხვედრის შანსი მეძლევა. ევროპის უმაღლესი დონის კალათბურთელები კი დღეს ნბა-შიც ვარსკვლავები არიან.

**— სან ჯორჯოს ტურნირზე იქნება ნბა-ს წლევანდელი ოლ სტარის მონაწილე ანდრეი კირილენკო — რუსებს ხვალ ხვდებით და შენ თუ ითამაშებ?**

— თამაშის დიდი სურვილი მაქვს, ყველანაირად ვეცდები, რუსებთან მატჩს მზადყოფნაში შევხვდე. თუ მთელი დატვირთვით ვერ ვითამაშებ, ცოტა ხნით მაინც გავალ მოედანზე.

**— ბოლოს კიდევ გკითხავთ, გახდებით თუ არა საქართველოს ნაკრების წევრი?**

— გეტყვი, რომ 85 პროცენტით საქართველოს ნაკრების წევრი ვარ.

**ირაკლი პერტაია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მერაბ რატიშვილი: ჩავაცვით, დავახურეთ, ვავარჯიშეთ

*მსუბუქი ტრავმის მიუხედავად, გუშინ საღამოს შემონდ უილიამსმა საქართველოს ნაკრებთან ივარჯიშა და დღეს საღამოს რუსების წინააღმდეგაც ითამაშებს სან ჯორჯოს ოთხთა ტურნირზე. აეროპორტში ბარგდაკარგულ უილიამსს ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობამ ახალი სპორტული სამოსი მოარგო და ამერიკელმაც გულიანად ივარჯიშა ქართველებთან. უილიამსის ჩვენს ნაკრებში ჩარიცხვას კი მხოლოდ ქართული პასპორტის გაცემა უდგას წინ, რისი მოგვარებაც, ფედერაციის გენერალური მდივნის, მერაბ რატიშვილის თქმით, დროის ამბავია...*

— უილიამსმა დღეს ივარჯიშა და ხვალ რუსების წინააღმდეგაც ითამაშებს — გვითხრა მერაბ რატიშვილმა.

**— უილიამსს ტრავმა აწუხებდა და თან ბარგიც დაუკარგავს...**

— უმნიშვნელო ტრავმა ჰქონდა და ყურადღება არ მიუქცევია, მთელი მონდომებით ივარჯიშა. ნაკრების მწვრთნელი დრაჟენ ბრაიკოვიჩი მისით კმაყოფილი დარჩა. სპორტული ტანსაცმელი კი რა პრობლემა იყო, ახალი ვუყიდეთ. რაღა მაინცდამაინც ის სპორტული ჩანთა დაკარგა, იმის გარდა ზაზა ფაჩულიას და უილიამსს 4 ჩანთა ჰქონდათ. თავიდან არც ფაჩულიას ჩანთა ჩანდა, დაგვიანებით ჩამოსულა რომში და მის ჩამოსატანად ისევ მოგვიწია რომში ჩასვლა.

**— გადაწყვეტილია, რომ უილიამსი საქართველოს ნაკრებში ითამაშებს?**

— თითქმის ყველაფერი მოგვარებულია. რაც მთავარია, შემონდი თანახმაა ჩვენს ნაკრებში თამაშზე. ამ საქმეს მაშინ დაესმება წერტილი, როცა უილიამსი ქართულ პასპორტს აიღებს...

**— ეგ როდის მოხდება?**

— საქართველოს პრეზიდენტისგან უკვე გვაქვს წინასწარი თანხმობა და უილიამსისთვის ქართული პასპორტის მიცემაც დროის ამბავია.

**— პასპორტის მისაღებად უილიამსს საქართველოში ხომ არ მოუწევს ჩამოსვლა?**

— არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, უილიამსი ახლა არ ჩამოვა თბილისში, სან ჯორჯოდან ის ამერიკაში მიფრინავს.

**— ნაკრების დანარჩენი წევრები როგორ არიან?**

— თითქმის ყველა მწყობრშია. მხოლოდ ჭაბუკთა ნაკრებიდან შემოერთებულ ვიქტორ სანიკიძესა და მანუჩარ მარკოიშვილს აწუხებთ ფეხი. სერიოზული არაფერია და ისინი ხვალ რუსეთის წინააღმდეგ ითამაშებენ.

**— რუსებმა ანდრეი კირილენკო ჩამოიყვანეს?**

— არ ვიცი, რუსები სან ჯორჯოში პირდაპირ თამაშზე ჩამოვლენ, ისინი სხვა ქალაქში არიან დაბანაკებულნი.

**— მატჩი რომელ საათზეა დანიშნული?**

— სხვათა შორის, შედარებით გვიან ვთამაშობთ. ჯერ იტალია შვედებს შეხვდება და აქაური დროით თერთმეტის ნახევარზე ჩვენი რუსებთან მატჩიც დაიწყება.

**ირაკლი პერტაია**

# დევისმა სტეფანია წამოაყენა

## კრის მულინის საყვარელი კაცი

**ბოლო სეზონის** შუაწელში „პორტლენდში" „ატლანტადან" თეო რეთლიფი მივიდა და ვლადიმერ სტეფანიაც ძალუმად მიეჯაჭვა სათადარიგოთა სკამს. ახლა ქართველი ცენტრი ცოტას ამოისუნთქებს, რაკი მისი მეორე კონკურენტი დეილ დევისი „პორტლენდიდან" წავიდა.

დეილ დევისი პორტლენდელებმა „გოლდენ სტეიტს" გაუცვალეს მკვირცხლ გამთამაშებელ ნიკ ვან ექსელში და ჩაროზად ბობ დიკაუც მიაყოლეს.

ვან ექსელი გასული სეზონის წინ გადავიდა „გოლდენ სტეიტში" „დალასიდან" და ტრავმების გამო ოდენ 39 მატჩში ითამაშა. მიუხედავად ამისა, ის მაინც ითვლებოდა გუნდის ლიდერად და როცა მოედანზე იყო, საჭიროების შემთხვევაში გადამწყვეტ ბურთს ყოველთვის თავად ესროდა.

მაგრამ პორტლენდელებს სულ სხვა ამბებიდან ახსოვთ ვან ექსელი. ორი წლის წინ, როცა ნიკს „დალასის" მაისურა ეცვა, საპლეიოფო სერიაში გვარიანად გააწვალა პორტლენდელები და „მავერიკსს" გაამარჯვებინა. ვან ექსელს „პორტლენდში" „დალასის" კონტრაქტი მიჰყვება და ხელშეკრულების თანახმად, მომავალ სეზონში 12 მილიონს აიღებს.

„გოლდენ სტეიტი" მას მერე შეელია ვან ექსელს, რაც ლეიკერსელი დერეკ ფიშერი თავისთან დაიგულა. ორი დღის წინ „ვორიორზმა" ექვსწლიანი და 37-მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმა ფიშერს.

დეილ დევისი კი „პორტლენდთან" ნარჩენი კონტრაქტის შესაბამისად მომავალ სეზონში 10 მილიონს აიღებს „გოლდენ სტეიტის" სალაროდან. თუმც როგორც „მეომართა" უფროსობა ამბობს, ეს ფული იმდენად დევისის თამაშის გამო არ იქნება გადახდილი, რამდენადაც მისი გამოცდილების ახალგაზრდებისთვის გაზიარებისთვის — ორგზის მეოლსტარე დევისმა წლეულს „პორტლენდის" ძირითადში ადგილი დაკარგა.

შეგახსენებთ, რომ „გოლდენ სტეიტმა" დრაფტზე დევისის ზომის მოთამაშე, პირტიტველა ლატვიელი ანდრის ბიედრინსი აიყვანა და ტროი მერფიც არაა ისეთი მხცოვანი, დევისისთანა გამოცდილი მოთამაშის შეგონებანი არ გამოადგეს.



დეილ დევისს შაკილ ონილთანაც ტოლ-სწორად უთამაშია

„ისაა კაცი, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარდა გუნდში. ვფიქრობ, მას კიდევ დარჩა იმის ილაჯი, რომ გვიჩვენოს დიდი თამაშები." — ამბობს „გოლდენ სტეიტის" ვიცე-პრეზიდენტი კრის მულინი, რომელსაც დეილ დევისთან 3 სეზონი გაუტარებია „ინდიანაში".

**ირაკლი პერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს თასი. ფინალი

# ლოკომოტივი — სტუ-ყოჩები



გალდე ქითილაშვილის ფოტო

*დღეს „ლოკომოტივის" სტადიონზე საქართველოს თასის ფინალია. საკმაოდ გაწელილი სათასო ტურნირის გადამწყვეტი მატჩი 18 საათზე დაიწყება და მასზე დასწრება უფასოა.*

*გუშინ მეტოქე გუნდების მწვრთნელებს ვესაუბრეთ*

**თემურ ბენდიაშვილი**

*„ლოკომოტივის" მწვრთნელი:*

— ბატონო თემურ, თქვენმა გუნდმა ნახევარფინალში ურთულეს ბრძოლაში შეძლო გამარჯვების მოპოვება „ლელოსთან". ცოტა გაგიმართლათ კიდეც, კვირიკაშვილს ლელოელების დაწინაურება შეეძლო, მაგრამ ბოლო წუთზე ჯარიმა გააცუდა.

— გეთანხმებით, „მეკომ" მართლაც რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაუშვა ხელიდან. იმისაც ვაღიარებ, რომ ნახევარფინალი სუსტად ჩავატარეთ. ამ მატჩით ძალიან უკმაყოფილო დავრჩი, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ მთლად იღბალმა მოგვაგებინა. მეტოქემ თუ ჯარიმა ვერ გაიტანა, სამაგიეროდ, ჩვენ ასპროცენტიანი ლელო არ ჩაგვითვალეს.

— ფინალისთვის როგორ მოემზადეთ?

— საკმაოდ კარგი შეკრება გავიარეთ ბათუმში, ასე რომ, უვარჯიშებლობას არ ვუჩივით. გუნდი ბრძოლისთვის მზადაა.

— დაშავებულნი ხომ არ გყავთ?

— კვინიხიძეს, გიგაურსა და მაისურაძეს აწუხებთ ტრავმები. თუმცა მაისურაძემ შეიძლება მაინც ითამაშოს.

თემურ ბენდიაშვილმა სავარაუდო სასტარტო შემადგენლობა დაგვისახელა: *ასათიანი, ანდღულაძე, ღვაბერიძე, ხაჩირაშვილი, ალანია, აბაშიძე, სამხარაძე, ტრაპაიძე, დათუნაშვილი, კახიანი, მოველაძე, ბერძენიშვილი, ყლენტი, ჩოხია, გასვიანი.*

სად და როგორ მოემზადა გუნდი ფინალისთვის — პირველად ეს ვკითხეთ „სტუ-ყოჩების" მწვრთნელ **მალხაზ ჭეიშვილს.**

— თბილისიდან არ გავსულვართ. ბოლო ათი დღეა, ინტენსიურად ვვარჯიშობთ და სრულ მზადყოფნაში ვართ.

— ნახევარფინალში „აკადემიასთან" საკმაოდ დაძაბული ბრძოლა გადაიტანეთ...

— მართლაც დაძაბული მატჩი იყო. უვარჯიშებლები ვიყავით და გუნდს მობილიზებაც აკლდა, ალბათ ეს იყო მთავარი მიზეზი, ასე რომ გაგვიჭირდა.

— წლეულს „ლოკომოტივთან" უკვე მოგიწიათ თამაშმა და მოიგეთ კიდეც.

— ეს არაფერს ნიშნავს. ის სხვა მატჩი იყო, არავინ იცის, ფინალში რა მოხდება. ის მოგება ჩვენმა გუნდმა უკვე დაივიწყა.

— ნახევარფინალში თქვენს გუნდში საფრანგეთიდან ჩამოსულმა ლეგიონერმა ვიქტორ დიდებულიძემაც ითამაშა, თუმცა „ლოკომოტივთან" ვეღარ დაგეხმარებათ...

— დიდებულიძე ერთი თამაშით დაგვემატა. მართალია, ჩვეულ ფორმაში არ არის, მაგრამ დიდი გამოცდილება აქვს და გუნდს ძალიან დაეხმარა.

— ტრავმებმა ვინმე ხომ არ გამოგაკლოთ?

— მხოლოდ დათო კაჭარავა, რომელმაც თვალის ოპერაცია უნდა გაიკეთოს.



გალდე ქითილაშვილის ფოტო

— ხომ ვერ გვეტყვით სასტარტო შემადგენლობას?

— შემადგენლობას მოგვიანებით დავაზუსტებ.

— შანსებს როგორ შეაფასებდით?

— არ მინდა წინასწარ ლაპარაკი. ვნახოთ, რა იქნება.

**ლადო ფულუკიძე**



# უილიამსები დედულეთში



**JP MORGAN CHASE OPEN**

კარსონი. ჰარდი.

საპრიზო 585 ათასი $.

**მეორე წრე**

**ვინუს უილიამსი (2, აშშ) — ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:2, 6:1; ელენა დემენტიევა (4, რუსეთი) — ლილია ოსტერლო (აშშ) 6:4, 6:2; ნადია პეტროვა (7, რუსეთი) — ჯესიკა კირკლანდი (აშშ) 6:2, 6:3**

გასულ კვირას ლოსანჯელესობის ფინალში ლინდსი დევენპორტისგან ნაცემმა ვინუს უილიამსმა კარსონში გადაინაცვლა და წლეულს შერყეული რეპუტაციისა თუ რეიტინგსიის გამოსწორებას ახლა იქ ცდილობს.

თავის პირველ საიქაო მატჩში მას 19 წლის ქერა თვისტომი ეშლი ჰარკლროუდი გადაეყარა და 50 წუთზე მეტხანს ვერ გაუძლო.

ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს გამოსასწორებელიო, ამბობდა ნამატჩევს ნორჩი ამერიკელი, ვისაც სალუქი გარეგნობის გამო ადრე ანა კურნიკოვას სავარაუდო სექსმემკვიდრედაც მიიჩნევდნენ და უფრო რიგიან საკუთრივ საჩოგბურთო მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ. ვაგლახ — ეშლიმ ვერც ერთი თვალსაზრისით ივარგა და — გემოვნებაზე არ დავობ, მაგრამ — ვერც მეორით.

სადღაც სწორედ კარსონის მახლობლად გაზრდილი ვინუსი კი ნამატჩევს ბავშვობას იგონებდა — მამაჩემი ამ სანახებში თავის საბარგულიანი მანქანით დაგვატარებდა და ახლა აქ ყოფნა მართლაც მაგრად ასწორებსო.

სხვათა შორის, მამა რიჩის 24 წლის ასული კარსონში მარტო არ არის — რანგით მასზე მაღალ ჩოგანს იქაურ კორტებზე მისი წლით უმცროსი უმცროხი დაიკო სერენაც აქნევს და, რუსმა ქალებმა თუ არ ჩაანაბზდოროვეს, ისინი ერთმანეთს ფინალამდე არ უნდა შეხვდნენ.

**RCA CHAMPIONSHIPS**

ინდიანაპოლისი. ჰარდი

საპრიზო 600 ათასი $.

**მეორე წრე**

**პარადორნ შრიჩაფანი (4, ტაილანდი) — ტიერი ასიონი (საფრანგეთი) 7:6 (7:4), 6:1; ივან ლიუბიჩიჩი (10, ხორვატია) — რაჯივ რამი (აშშ) 6:2, 6:3**

პარადორნ შრიჩაფანი ტურნირის შარშანდელი ფინალისტია და სწორედ ამის გამო მიექცა მის საპირველწრეო მატჩს განსაკუთრებული ყურადღება. ფრანგ ტიერი ასიონს ის პირველად ხვდებოდა და თავიდან გაუჭირდა კიდეც, მაგრამ საწყისი სეტის ტაიბრეიკზე მოგების შემდეგ ტაილანდელმა მეტოქე ალაგმა და მეორე სეტი უპრობლემოდ ჩააგლიჯინა.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელ ფინალში შრიჩაფანმა ამერიკელ ენდი როდიკთან დათმო.

**ხორვატიის ღია პირველობა**

უმაგი. თიხნარი

საპრიზო 395 ათასი €

**პირველი წრე**

**კარლოს მოია (1, ესპანეთი) — როკო კარანუსიჩი (ხორვატია) 6:4, 6:4; ირჟი ნოვაკი (2, ჩეხეთი) — რუბენ რამირეს იდალგო (ესპანეთი) 6:4, 6:2; ტომაშ ზიბი (ჩეხეთი) — იგორ ანდრეევი (3, რუსეთი) 6:3, 6:4; გილერმო კანიასი (6, არგენტინა) — ოლივიე პასიანსი (საფრანგეთი) 6:3, 6:2**

კარლოს მოიამ იმ დღეს თავისი ზედიზედ მე-16 საუმაგო მოგება მიითვალა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უკვე მეოთხე წელი მიდის, იქაურ საჩოგნეთში მას ერთი მატჩიც არ დაუთმია და ამდენად — წლეულს ერთბაშად სამ ტიტულს იცავს. პირველ წრეში მან ილად აჯობა უსახელო ხორვატ კარანუსიჩს და საამსეზონო 10 მარცხის წილ უკვე 44-ე გამარჯვებას მოიძევს. ჰო, მართლა — წინა სამი წლის გარდა მას უმაგში 1996 წელსაც უჩემპიონია.

სხვაფრივ ალსანიშნია, რომ წინა კვირას შტუტგარტში გაჩემპიონებულმა გილერმო კანიასმა წარმატებული ბურთაობა უმაგშიც განაგრძო.

**GENERALI OPEN KITZBUHEL**

კიცბიუელი. თიხნარი

საპრიზო 800 ათასი €

**პირველი წრე**

**ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — ვერნერ ეშაუერი (ავსტრია) 6:3, 6:7 (2:7), 6:3; შტეფან კუბეკი (ავსტრია) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:3, 6:0**

კიცბიუელში იმ დღეს ავსტრიისთვის საშინელი ხვატი იდგა, მაგრამ ტურნირის სამგზის (1995, 1998-99) ჩემპიონ ალბერტ კოსტასთვის ამას ჩოგანი არ შეუშლია, უსახელო მასპინძელს გასწორებოდა. კოსტას არაფერი მოუგია 2002 წლის როლანგაროსობის შემდეგ და ახლა გაშმაგებული ცდილობს, კიცბიუელის ოთხჯერ მომგები ლეგენდარული არგენტინელის, გილერმო ვილასის მიღწევა გაიმეოროს. გამრჯე და მუყაითი ხალხის საწინააღმდეგო არც ჩვენ გვექნება რამე, თუმცა აჯობებს, წიწილები და ევროები მაინც უქმეებზე გადავთვალოთ.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS ზაგრებიდან

უმაგში დაუმარცხებელი კარლოს მოია
ხორვატიის პრეზიდენტმა საგანგებოდ დააჯილდოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

Le Tour de France

## ტურ დე ფრანსი

# გაიწით ხალხო, გამატარეთ!



| XVI ეტაპი. 20 ივლისი. 21 ივლისი. ბურგი — ალპ დუეზი | |
|---|---|
| 1 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი) | [illegible] |
| 2 იან ულრიხი (გერმანია, T-მობაილი) | +1წთ |
| 3 ანდრეას კლოედენი (გერმანია, T-მობაილი) | +1წთ 41წმ |
| 4 ხოსე აზევედო (პორტუგალია, პოსტალი) | +1წთ 45წმ |
| 5 სანტოს გონსალესი (ესპანეთი, პონაკი) | +2წთ 10წმ |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი) | 67სთ 53წთ 24წმ |
| 2 ივან ბასო (იტალია, CSC) | +3წთ 48წმ |
| 3 ანდრეას კლოედენი (გერმანია, T-მობაილი) | +5წთ |
| 4 იან ულრიხი (გერმანია, T-მობაილი) | +6წთ 54წმ |
| 5 ხოსე აზევედო (პორტუგალია, პოსტალი) | +9წთ 19წმ |

**ტურ დე ფრანსის** მრბოლები რაც უფრო უახლოვდებიან ელისეის მინდვრებს, მით უფრო ახლოვდება ლენს არმსტრონგის ტრიუმფი ტრიუმფალურ თაღქვეშ. გუშინდელი მე-16 ეტაპი არ იყო გრძელი, ოდენ 15,5 კილომეტრს მოითვლიდა, მაგრამ იყო ციცაბო და მიხვეულ-მოხვეული, რაც ითვლება კიდეც ნამდვილი ველომრბოლის გამომცდელ ტრასად.

ჰოდა, ვინ იყოჩაღებდა მთებში, თუ არა ლენს არმსტრონგი. ამერიკელმა სუპერმრბოლმა სულმოუთქმელად განვლო მომქანცველი და ციცაბო გზა ბურგიდან ალპ დუზამდე, უახლოეს მდევარს მთელი ერთი წუთით გაუსწრო და საერთო ჩათვლაშიც 3,48-წუთიანი უპირატესობით მოიტოვა მდევარი ივან მასო.

არმსტრონგის მორიგი ეტაპის მოგებას გზად ჩამწკრივებული ქომაგები ოვაციებით შეხვდნენ. ისინი იმდენი იყვნენ და ისეთ „ეშმაკის" მოსახვევში ჩამწკრივებულიყვნენ, რომ დიდი ჩემპიონი ლამის ცოცხალ კედელს შეასკდა...

„წინდახედულება რომ არ გამომეჩინა, რაღაც ცუდი მოხდებოდა — თქვა ნარბოლევს არმსტრონგმა — ვფიქრობ, ტურ დე ფრანსის ორგანიზატორებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამას და ტრასები, მით უფრო ფინიშთან ახლოს, შედარებით უსაფრთხო უნდა გახადონ".

არმსტრონგის კვალად ფინიშის ხაზი სამთომრბოლად ცნობილმა იან ულრიხმა გადაკვეთა, თუმც ეს წარმატება ბევრს არაფერს ნიშნავს. ულრიხს ნაღდად არ ძალუძს არმსტრონგისთვის საჩემპიონო რბოლაში ხელის შეშლა. გერმანელი ამბობს კიდეც: ლენსი ისეთ ფორმაშია, მისი მომგები არავინ ჩანსო.

**ირაკლი პერტაია**



იან ულრიხმა ლენს არმსტრონგის უპირატესობა აღიარა



# შვიდი წელი ციხეში

## მაიკ დანტონმა მკვლელობის შეკვეთა აღიარა



მაიკ დანტონმა თავი დამნაშავედ ცნო და ეს მისი კარიერის დასასრულს ნიშნავს — ჰოკეისტს სავარაუდოდ, 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

შეგახსენებთ, რომ „სენტ ლუისის" 23 წლის ფორვარდი აპრილში, მისი გუნდის პლეი ოფიდან გავარდნის მეორე დღეს დააპატიმრეს. მას წინასწარგანზრახული მკვლელობა ედებოდა ბრალად, რომელიც მხოლოდ იმიტომ ჩაიშალა, რომ მის მიერ დაქირავებული ქილერი FBI-ის აგენტი აღმოჩნდა. ამ ფაქტმა თავისთავად დიდი გამოხმაურება ჰპოვა. რა ცნობებს არ ამოიკითხავდით ინტერნეტსა თუ ამერიკულ პრესაში, ახლა კი საქმეს ასე თუ ისე ნათელი მოეფინა.

დანტონს თავისი აგენტის, ვინმე დევიდ ფროსტის მოკვლა განუზრახავს, რადგან ერთობ გართულებულა ურთიერთობა მათ შორის. ფროსტი 10 წელზე მეტხანს მეურვეობდა ჰოკეისტს. როგორც თვითმხილველები ამბობენ, ჯერ კიდევ სკოლის გუნდში თამაშისას (დანტონი მშობლიური სახლიდან მოშორებით სწავლობდა) მათ შორის ძალიან უცნაური ურთიერთობა ყოფილა. ფროსტი თურმე ჯგუფში ხუთ ბიჭუნას მეთვალყურეობდა და თითოეული მათგანი უმკაცრეს რეჟიმში ჰყავდა გუნდის სხვა წევრებისგან განსხვავებით, მათ ტელევიზორის ყურებაც ეკრძალებოდათ. ფროსტის ნებართვის გარეშე ოთახიდან ფეხს ვერ ადგამდნენ, სხვებზე ადრე იძინებდნენ და ამხანაგებს ვერ ელაპარაკებოდნენ... ეს ბავშვები ნაცემებიც ბევრჯერ მისულან ვარჯიშზე.

„ამის აღწერა ძალიან მიძნელდება, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ბიჭებსა და ფროსტს შორის რაღაც ხდებოდა" — თქვა ამ ამბის ერთ-ერთმა მომსწრემ, რომელმაც ანონიმურობა არჩია.

წლები გადიოდა, მაგრამ მიუხედავად დაძაბული ურთიერთობისა, დანტონი და ფროსტი ერთმანეთს არ შორდებოდნენ. ფროსტი ბოლოს მაიკლის აგენტიც გახდა, ხოლო პროფესიული კარიერის დაწყებისთანავე დანტონი საბოლოოდ გაეცალა ოჯახს და გვარიც შეიცვალა (მანამდე ჯეფერსონი იყო).

შარშანწინ დანტონი „სენტ ლუისში" აღმოჩნდა და თანდათან კლუბში ავტორიტეტიც დაიმსახურა. თანაგუნდელებს განსაკუთრებით ვაჟკაცური, უშიშარი ბუნებით მოაწონა თავი. საკმაოდ ტანმორჩილი (176 სმ) დანტონი არასდროს გაურბოდა მასზე გაცილებით მაღალ და ძლიერ მეტოქეებთან ჩხუბს. პარტნიორების თქმით, მათ მაიკლის ხასიათში უცნაური არაფერი შეუნიშნავთ, მაგრამ როგორც გამოძიებამ დაადგინა, ჰოკეისტსა და ფროსტს შორის არაერთხელ მომხდარა შელაპარაკება. თურმე აგენტი ემუქრებოდა დანტონს, რომ კლუბის მესვეურებს შეატყობინებდა მისი ალკოჰოლისადმი მიდრეკილების და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შესახებ.

რაც შემდეგ მოხდა, მკითხველმა უკვე იცის. მხოლოდ იმას დავძენთ, რომ ამ საქმეში ვინმე კეტი ვოლფმაიერიც ფიგურირებდა, დანტონის მეგობარი 19 წლის გოგონა, ვისი დახმარებითაც მან ქილერი დაიქირავა. ვოლფმაიერის დამცველები ამბობენ, რომ იგი ძალიან მიამიტია და დანტონის ზეგავლენას განიცდიდა. თავად კეტი თავს დამნაშავედ არ ცნობს. ის თავდებით გაათავისუფლეს და ალბათ ციხეში დაბრუნება აღარ მოუწევს.

დანტონის საქმე კი ცუდადაა.. მისი ადვოკატების თქმით, თავის დამნაშავედ ცნობა საუკეთესო გამოსავალია. ამით ჩვენი კლიენტის ცხოვრების რაც შეიძლება დიდ ნაწილს გადავარჩენთო, ამბობს ვექილი რობერტ ჰაარი.

ჩვენც ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას, თუმც ბევრი რამ გაუგებარია. მაგალითად, მართალია, ცნობილია, რომ დანტონის მსხვერპლი ფროსტი უნდა გამხდარიყო, მაგრამ მის ოფიციალურ განცხადებაში ეს არ ჩანს. მეტიც, თავად ფროსტი კატეგორიულად უარყოფს ამ ფაქტს და, რაც უფრო უცნაურია, მოითხოვს, დანტონი სან ხოსედან სენტ ლუისის ციხეში გადაიყვანონ და რეჟიმი შეუმსუბუქონ. მაგალითად, ტკივილგამაყუჩებლები მიაწოდონ, ვინაიდან მაიკი ერთობ დათრგუნულია.

**სამველ ღარიბიანი**



## ჩემპიონთა ლიგა 2004-2005

CHAMPIONS LEAGUE

### I საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

***ნეფთჩი*** *(აზერბაიჯანი)* 1:0 **შიროკი ბრიაგი** (ბოსნია) (1:2)
***ტირანა*** *(ალბანეთი)* 0:1 **გომელი** (ბელარუსი) (2:0)
***კაუნასი*** *(ლიტვა)* 4:1 **სლიმა** (მალტა) (2:0)
**ჟენესი** (ლუქსემბურგი) 1:0 ***შერიფი*** *(მოლდოვა)* (0:2)
***ჰიკ*** *(ფინეთი)* 1:0 **ლინფილდი** (ჩრდ. ირლანდია) (1:0)
***პიუნიკი*** *(სომხეთი)* 1:1 **პობედა** (მაკედონია) (3:1)
**რილი** (უელსი) 1:3 ***სკონტო*** *(ლატვია)* (0:4)
***ნოვა გორიცა*** *(სლოვენია)* 3:1 **ფლორა** (ესტონეთი) (4:2)
***შელბურნი*** *(ირლანდია)* 0:0 **რეიკიავიკი** (ისლანდია) (2:2)

### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

**ვიტ ჯორჯია** (საქართველო) — **ვისლა** (პოლონეთი)
**პიუნიკი** (სომხეთი) — **შახტარი** (უკრაინა)
**აპოელი** (კვიპროსი) — **სპარტა** (ჩეხეთი)
**რუსენბორგი** (ნორვეგია) — **შერიფი** (მოლდოვა)
**იანგ ბოისი** (შვეიცარია) — **ცრვენა ზვეზდა** (სერბეთი)
**ნოვა გორიცა** (სლოვენია) — **კოპენჰაგენი** (დანია)
**ნეფთჩი** (აზერბაიჯანი) — **ცსკა** (რუსეთი)
**ჟილინა** (სლოვაკეთი) — **დინამო** (რუმინეთი)
**ჰიკ** (ფინეთი) — **მაკაბი** (თელ ავივი, ისრაელი)
**სკონტო** (ლატვია) — **ტრაბზონსპორი** (თურქეთი)
**ბრიუგე** (ბელგია) — **ლოკომოტივი** (ბულგარეთი)
**ტირანა** (ალბანეთი) — **ფერენცვაროში** (უნგრეთი)
**ჰაიდუკი** (ხორვატია) — **შელბურნი** (ირლანდია)
**იურგორდენი** (შვედეთი) — **კაუნასი** (ლიტვა)

***პირველი მატჩები — 28 ივლისი, საპასუხოები — 4 აგვისტო***

### 2004 წლის ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

UNDER-19 Championship

ნახევარფინალი

**შვეიცარია** 2:3 დ.დ.(1:1) ***თურქეთი***
***ესპანეთი*** 2:2 დ.დ.(პენ.4:4, 1:1) **უკრაინა**

### რუსეთი

პრემიერლიგა

გადადებული მატჩები

**მოსკოვი 3:2 შინიკი**
**ალანია 0:2 სპარტაკი**

### გერმანია

ლიგის თასი

***ლევერკუზენი*** 1:1(პენ.4:3) **ჰანზა**

### ამხანაგური მატჩები

**ბეშიქთაში 0:0(პენ.4:5) პარტიზანი**
**კაენი 1:0 პსვ ეინდჰოვენი**
**მარსელი 0:2 ბენფიკა**

### ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. II ტური

**რაპიდი 4:1 ტიროლი**
**ადმირა 3:0 ბრეგენცი**
**გრაცერი 1:0 ზალცბურგი**
**მატერსბურგი 0:0 ავსტრია**

### შვედეთი

ალსვენსკა. XII ტური

**მალმიო 2:1 ჰალმსტადი**

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XV ტური

**ტამპერე 1:3 ჰაკა**
**ჰაამენლინა 1:2 მიუპა**
**იარო 3:0 ტპ-47**

### ხორვატია

ნაციონალლიგა. I ტური

**სლავენი 1:2 ოსიეკი**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ქარმა წაიღო



ვინდსერფინგის მსოფლიოს ჩემპიონსაც კი გაუჭირდება ხოლმე. ბრაზილიელი რიკარდუ კამპელუ კანარის ნაპირებთან უშნოდ ბოსიარულე ქარს წაუხდენია. თან, მსოფლიოს ჩემპიონატია.

# გერმანელები აღიჭურვნენ

გერმანელი დიაცები ბალახის ჰოკეიშიც გეგმავენ ოლიმპიურ ოქროს და ამის გაცხადება და „როიტერის“ გრძნეული ფოტორეპორტიორის იქ გაჩენა ერთი იყო. მაინცში ამ გოგონებმა და სრულიად გერმანულმა ოლიმპიურმა დელეგაციამ საათენო ეკიპირება ჩაიბარა.







# ვეფხვები კატასთან

ჰოლივუდში მორიგი პრემიერა იყო — „ქალი კატა“. ჰოდა, პრემიერაზე მორიგი ტურნირის წინ ერთი დღით გამოთავისუფლებული ძუ ვეფხვები გამოჩნდნენ — ვინუსი და სერენა.




# ამ გოგოს არავის დავაჩაგვრინებთ!

გერმანია ათენის ოლიმპიადაზე 400-ზე მეტ სპორტსმენს მიავლენს და იქიდან ბლომად ოქროს გამოზიდავს. ერთი-ორ მედალს მოცურავე ფრანცისკა ვან ალსრიკი გამანსავს, მაგრამ მშვენიერ ფრანცისკას არც ათენამდე აკლია ყურადღება.



# ცნობილი ადამიანები იცინიან

ტეხასელი ველო-კოვბოი ლენს არმსტრონგი ანც თანამემამულესთან, მსახიობ რობინ უილიამსთან ერთად ხორხოცობს და მხიარულების ფრიადი მიზეზიც აქვს. ტურ დე ფრანსის მე-15 ეტაპი მოიგო, საერთო ჩათვლის ლიდერის ყვითელი მაისურა მოირგო და თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, მალე მეექვსედ გახდება ტურის ჩემპიონი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოღრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge